

თბილისის  
ვანო  
სარაჯიშვილის  
სახელობის  
სახელმწიფო  
ქონსერვატორიის  
ტრადიციული  
მრავალხმიანობის  
საერთაშორისო  
ცენტრის  
ბიულეტენი

№8

რედაქტორებისაგან

სიახლეები

ქართველი ეთნომუსიკოლოგის  
მსოფლიო აღიარება

ერთი ქართული ფოლკლორული  
ანსამბლი. „ჯვარული“

ქართული სიმღერის უცხოელი  
შემსრულებლები. ბრიტანული  
გუნდი „მასპინძელი“

უცხოელები ქართული  
ფოლკლორის შესახებ.  
ინტერვიუ პოლო ვაღეჟოსთან

მრავალხმიანობა მსოფლიოში.  
მრავალხმიანი სიმღერა  
ესტონეთში

ქართული მეცნიერებისა და  
კულტურის კერები.  
ივანე ჯავახიშვილის სახელობის  
ისტორიისა და ეთნოლოგიის  
ინსტიტუტი

ქართული სიმღერის მოამაგეები.  
ლევან აბაშიძე

ხალხური სიმღერა ყოფაში.  
ქართული ფერხულები

ერთი სიმღერის ისტორია.  
„დაღლა კოჯას ხელღვაჟაღე“

რედაქტორები:

რუსუდან წურწუშია  
მაკა ხარძიანი

მთარგმნელი:  
მაია კაჭკაჭიშვილი

კომპ. უზრუნველყოფა:  
მაკა ხარძიანი  
თამაზ გაბისონია

© თბილისის ვანო სარაჯიშვილის სახელობის სახელმწიფო  
კონსერვატორიის ტრადიციული მრავალხმიანობის კვლევის  
საერთაშორისო ცენტრი, 2010

**eISSN 1512-228X**

ბიულეტენი გამოდის წელიწადში ორჯერ, ქართულად და ინგლისურად.

მისამართი: საქართველო, თბილისი, 0108, გრიბოედოვის ქ. №8/10.  
ტელ: (+995 32) 2998953, ფაქსი: (+995 32) 2987187

ელ-ფოსტა: polyphony@polyphony.ge; polyphony@conservatoire.edu.ge;

[www.polyphony.ge](http://www.polyphony.ge)

## რედაქტორებისაგან

თქვენს წინაშეა ტრადიციული მრავალხმიანობის კვლევის საერთაშორისო ცენტრის ელექტრონული ბიულეტენის პირველი ნომერი. იგი ჩვენი ცენტრის ბეჭდური ბიულეტენის მემკვიდრეა, ამიტომ მისი რიგითი ნომერი აღინიშნება ასე: №8.

უკვე ორი წელი გავიდა მას შემდეგ, რაც ცენტრის ბეჭდური ბიულეტენის უკანასკნელი, №7 ბიულეტენი გამოვიდა. იგი „ქართული პოლიფონიის დაცვისა და განვითარების“ OJNEპოს პროგრამის ფარგლებში დაარსდა 2004 წელს და მისი მიზანი მსოფლიოში ქართული მრავალხმიანობისადმი გაზრდილი ინტერესის დაკმაყოფილება იყო. ორენოვანი ბიულეტენი წელიწადში ორჯერ გამოდიოდა და თავის მკითხველებს აცნობდა საქართველოს ფოლკლორულ-საკონცერტო ცხოვრებას, ქართული ეთნომუსიკოლოგიის სიახლეებს და დეკლამაციურ მემკვიდრეებს, ლიტერატურას და შემსრულებლებს, აქვეყნებდა მასალებს ფოლკლორული ექსპედიციების შესახებ, ინტერვიუებს ხალხური მრავალხმიანობის ოსტატებთან და სხვ.

ეს ბიულეტენი ასეთი ტიპის ერთადერთი პერიოდული გამოცემა გახლდათ საქართველოში.

გამოცემის შეწყვეტის მთავარი მიზეზი ბეჭდვისა და გავრცელებისათვის საჭირო ფინანსების მოპოვების სირთულე გახდა.

მაგრამ, რადგან განვლილმა დრომ დაგვარწმუნა მსგავსი გამოცემის აუცილებლობაში, გადავწყვიტეთ, ტრადიციისამებრ, წელიწადში ორჯერ მოგვემზადებინა იგი ელექტრონული სახით.

ბიულეტენის ელექტრონულ გამოცემას, ერთი მხრივ, დიდი უპირატესობა აქვს – ინტერნეტს უამრავი მომხმარებელი ჰყავს, ამიტომ განუზომლად გაიზრდება მისი მკითხველების რიცხვიც, ხოლო გამოცემა და გავრცელება ცალკე ხარჯებს არ მოითხოვს და, ამრიგად, იგი ხელმისაწვდომი გახდება მსოფლიოს ნებისმიერ წერტილში, სადაც კი ელექტრონული ქსელი წვდება.

მაგრამ, ინტერნეტი ჯერ კიდევ მიუწვდომელია საქართველოს ბევრ კუთხეში, მათ შორის, იმათთვის, ვინც ტრადიციული მუსიკითაა დაინტერესებული. ამიტომ ვაპირებთ მისი ქართულენოვანი ვერსიის მცირე ტირაჟით დაბეჭდვას და საქართველოს რეგიონებში გავრცელებას.

უკანასკნელი ნომრის გამოსვლის შემდეგ ჩვენმა ცენტრმა არა ერთი საერთაშორისო პროექტი განახორციელა, რისთვისაც გვინდა მადლიერება გამოვხატოთ ყველას მიმართ, ვინც ამაში დაგვეხმარა. რაკი ორი წლის მანძილზე ბიულეტენი არ გამოსულა, იმ სიცარიელის

ამოსავლებად, რომელიც მისი გამოცემის შეწყვეტას მოჰყვა, ელექტრონული ბიულეტენის პირველ ნომერში ზოგადად მოგიტხრობთ ტრადიციული მრავალხმიანობის ცენტრის მიერ უკანასკნელ ხანს განხორციელებული ზოგიერთი პროექტის შესახებ.

პირველი მნიშვნელოვანი პროექტი ვებ-გვერდის განახლება გახლდათ [www.polyphony.ge](http://www.polyphony.ge), რაშიც შვეიცარიის კულტურის განვითარების ფონდი დაგვეხმარა.

ღირსშესანიშნავი მოვლენა გახლდათ ავსტრიის მეცნიერებათა აკადემიის ფონოგრამარქივის დახმარებით განხორციელებული პროექტის „ხმები წარსულიდან“ დასრულება. 2007-2009 წლების განმავლობაში გამოვიდა 16 ლაზერული დისკი, საქართველოში 1923-1952 წლებში ფონოგრაფით ცვილის ლილვაკებზე ჩაწერილი უნიკალური ნიმუშებით. მათ უკვე გაუწიეს დიდი სამსახური და კვლავაც დაეხმარებიან ქართული სიმღერის პრაქტიკოს-შემსრულებლებს, ხალხური სიმღერის ანსამბლებს, რომ გაამდიდრონ თავიანთი რეპერტუარი მივიწყებული ხალხური სიმღერებით. ამ პროექტის განხორციელება კი ვენის ფონოგრამარქივის დირექტორის დრ. ფრიდრიხ შულერის, ამავე არქივის აუდიო ინჟინერ-კონსულტანტის ფრანც ლეხლაიტნერის და ვენაში მცხოვრები ჩვენი თანამოქალაქის ნონა ლომიძის დახმარებით გახდა შესაძლებელი.

არა მარტო ჩვენი ცენტრის, არამედ მთელი ქართული საზოგადოებისათვის განსაკუთრებული მოვლენა იყო ტრადიციული მრავალხმიანობის IV საერთაშორისო სიმპოზიუმი, რომელიც 2008 წლის 15-19 სექტემბერს ჩატარდა, ზუსტად ერთი თვის თავზე რუსეთ-საქართველოს აგვისტოს ომის შემდეგ. ჩვენი უცხოელი კოლეგების – სიმპა არომის (საფრანგეთი), პოლო ვალეჰოს (ესპანეთი), ტაიდა ლანჯის (ლატვია), ჟანა პარტლასის (ესტონეთი), დაივა რაჩიუნაიტეს (ლიტვა), მოია სიმპსონისა და ჯონ შორტისის (ავსტრალია), ფრანც ფოიდერმაირის (ავსტრია), დიტერ ქრისტენსენის (აშშ/გერმანია), მარგარეტ ბრეის (დიდი ბრიტანეთი), ურმა შივიცის (სლოვენია), ჯონ გრემის (აშშ) თბილისში ჩამოსვლა სიმპოზიუმში მონაწილეობის მისაღებად ქართველებისადმი მეგობრული თანადგომის გამოხატულება იყო, რისთვისაც ჩვენ მათ დიდად ვემადლიერებით.

კიდევ ერთი საერთაშორისო პროექტი კარლ ორფის ფონდის (ავსტრია) მხარდაჭერით განხორციელდა – 2010 წლის 22-26 მარტს თბილისის სახელმწიფო კონსერვატორიას ესტუმრა პროფ. პოლო ვალეჰო (ესპანეთი), აფრიკული პოლიფონიის დიდი სპეციალისტი, რომელმაც ერთი კვირის განმავლობაში ლექციები ჩაატარა სტუდენტებისათვის.

და ბოლოს, ერთი მოულოდნელი პროექტი, რომელშიც თბილისის სახელმწიფო კონსერვატორიასთან ერთად მონაწილეობს საქართველოს საპატრიარქო და ქართული ხალხური სიმღერის საერთაშორისო ცენტრი. კონსერვატორიის ეთნომუსიკოლოგიის მიმართულების III კურსის სტუდენტი ნინო რაზმაძე, რომელიც ფრანგი ეთნომუსიკოლოგის ივეტ გრიმოს მიერ საქართველოში 1969 წელს ჩაწერილი ხალხური სიმღერებით დაინტერესდა, ახალგაზრდა ფრანგი ქნის ზოე პერეს მეშვეობით მას დაუკავშირდა. ქნმა გრიმომ გამოხატა კეთილი ნება და თბილისის სახელმწიფო კონსერვატორიას გადმოსცა საქართველოსთან დაკავშირებული მთელი მისი არქივი – მის მიერ საქართველოს სხვადასხვა კუთხეში ჩაწერილი 350 სიმღერის ფირი და ნაშრომები ქართული მუსიკალური ფოლკლორის შესახებ, მათ შორის ხელნაწერები. ამჟამად მიმდინარეობს მუშაობა გამოსაცემად მათ მომზადებაზე. ამ ამბავს ბევრი ადამიანის გაოცება და სიხარული ახლავს თან, რადგან იგი საქართველოში ხალხური საგანძურის დაბრუნებასთანაა დაკავშირებული.

თქვენ შესაძლებლობა გაქვთ ვებ-გვერდზე გაეცნოთ ჩვენი ბეჭდური ბიულეტენის შვიდივე ნომერს.

ელექტრონული ბიულეტენისათვის ისეთი რუბრიკები შევარჩიეთ, რომლებიც ერთნაირად დაინტერესებს ქართველ და უცხოელ მკითხველს. „სიახლეების“ რუბრიკაში ბოლო ერთი წლის მანძილზე საქართველოს ფოლკლორულ ცხოვრებაში მომხდარ სიახლეებს გაგაცნობთ, რომელიც მოიცავს: ცნობებს თბილისური ფოლკლორული ანსამბლების შემოქმედებითი მოღვაწეობის შესახებ (კონცერტები, გასტროლები, კომპაქტური დისკების გამოცემები და ა.შ.), ასევე ქართული სიმღერისა და გალობისადმი მიძღვნილი ფესტივალების, სამეცნიერო კონფერენციებისა და კონცერტებისა და მეცნიერულ ფოლკლორისტიკაში მომხდარი სიახლეების შესახებ. სამომავლოდ, შევეცდებით, თანმიმდევრულად მივეყვით საქართველოს ფოლკლორულ ცხოვრებაში მიმდინარე პროცესებს და ყოველ 6 თვეში, პერიოდულად მოგაწოდოთ ინფორმაცია ამის შესახებ. რუბრიკაში „ერთი ქართული ფოლკლორული ანსამბლი“ მოგიტოხრობთ მოხვევ ვაჟთა ახალი ანსამბლის „ჯვარულის“ შესახებ, ხოლო რუბრიკა „ქართული სიმღერის უცხოელი შემსრულებლები“ – ახლოს გაგაცნობთ ბრიტანულ ფოლკლორულ ანსამბლს „მასპინძელი“. რუბრიკა „უცხოური მრავალხმიანობა“ ესტონურ ფოლკლორს ეძღვნება, ხოლო ინტერვიუ ცნობილ ესპანელ კომპოზიტორთან და ეთნომუსიკოლოგთან პოლო ვალეკოსთან – გაგაცნობთ უცხოელი მეცნიერის დამოკიდებულებას ქართულ ფოლკლორთან. რუბრიკა „ქართული სიმღერის მოამბავნი“

მიუხედავებით ანსამბლი „წინანდლის“ აწ გარდაცვლილ ხელმძღვანელს ლევან აბაშიძეს, „ქართული კულტურისა და მეცნიერების კერებში“ მოგიტოხრობთ ივ. ჯავახიშვილის სახ. ისტორიისა და ეთნოლოგიის ინსტიტუტის ისტორიას. რუბრიკაში „ხალხური სიმღერა ყოფაში“ წარმოგიდგენთ ქართული ფოლკლორის არქაულ პლასტს – საფერხულო სიმღერებს, ხოლო რუბრიკაში „ერთი სიმღერის ისტორია“ გთავაზობთ უძველესი სვანური სიმღერის „დალა კოჯას ხელღვაჟაღეს“ ისტორიას და მისი სანოტო ჩანაწერს. ერთი სიტყვით, შევეცადეთ, ახალი ბიულეტენი საინტერესო და მრავალფეროვანი ინფორმაციით დაგვეტვირთოთ.

დასასრულ, გვინდა მოგმართოთ თხოვნით, გაგვიზიაროთ თქვენი მოსაზრებები ვებ-ბიულეტენის ფორმატის შესახებ და მოგვწეროთ, რა ინფორმაციას ისურვებდით მის ელექტრონულ ფურცლებზე.

**რუსუდან წურწუშია**  
**მაკა ხარძიანი**

*სიახლეები*

## **საქართველოს ეთნომუსიკალური ცხოვრება**

**(2009-2010)**

**30.04.09** - კონსერვატორიის დიდ საკონცერტო დარბაზში გაიმართა „ანჩისხატის ტაძრის გუნდის“ სოლო საანგარიშო კონცერტი სახელწოდებით „მრავალჟამიერი“.

**2009 წლის მაისში** ანსამბლმა „მთიებმა“ გამოსცა ვიდეო დისკი (V) რომელზეც ჩაწერილია 2009 წლის 23 თებერვალს რუსთაველის თეატრის დიდ დარბაზში ანსამბლის მიერ გამართული ფოლკლორული საღამო „ქართული ქორწილი“.

**2009 წლის მაისში** ანსამბლმა „ჯვარულმა“ (ხელ-ლი ნ. ვალიშვილი) გამოსცა პირველი კომპაქტური დისკი.

**2009 წლის მაისში** ანსამბლმა „ბასიანმა“ (ხელ-ლი გ. დონაძე) გამოსცა მეოთხე კომპაქტური დისკო.

**2009 წლის ივნისში** ანსამბლი „შავნაბადა“ (ხელ-ლი დ. ცინცაძე) მიწვეული იყო საფრანგეთში სოლო კონცერტებისა და ვორტ-შოფების ჩასატარებლად.

**25.06.09** - კონსერვატორიის დიდ საკონცერტო დარბაზში გაიმართა ანსამბლების: „დიდგორისა“ და „სახიობას“ ერთობლივი კონცერტი.

**20-27.05.2009** - ჰოლანდიაში გაიმართა ფესტივალი „კავკასიელი და ბალკანელი ქალები მშვიდობისათვის“, რომელზეც მიწვეული იყო ანსამბლი „მზეთამზე“.

**2009 წლის ივნისში** ჩამოყალიბდა ფოლკლორული ანსამბლი „კერია“ (ხელ-ლი თ. გაბისონია)

**17-30.06.09** – ანსამბლმა „ბასიანმა“ მოაწყო საკონცერტო ტურნე კუნძულ მადეირაზე, ინგლისსა და ჰოლანდიაში.

**8.07.2009** - კონსერვატორიის დიდ საკონცერტო დარბაზში გაიმართა კონსერვატორიის ფოლკლორული ანსამბლის (ხელ-ლი ნ. ზუმბაძე) დისკის პრეზენტაცია.

**2009 წლის ივლისში** ლატვიის დედაქალაქ რიგაში გაიმართა ბურდონული მრავალხმიანობის საერთაშორისო ფესტივალი „ბალტიკა 2009“, რომელშიც მონაწილეობა მიიღო ქალთა ფოლკლორულმა ანსამბლმა „ნანინამ“ (ხელ-ლი თ. კასაბური) და ვაჟთა მოხეურმა ანსამბლმა „ჯვარულმა“ (ხელ-ლი ნ. ვალიშვილი).

**2009 წლის ივლისში** გერმანიის ქ. ლორაჰში გაიმართა საგუნდო ფესტივალი, რომელშიც მონაწილეობა მიიღო ანსამბლმა „თუთარჩელამ“ (ხელ-ლი თ. ბუაძე).

**13. 21-26.07.09** – გაიმართა ფოლკლორული ფესტივალი „არტგენი 2009“, რომელშიც რეგიონულ ფოლკლორულ ანსამბლებთან ერთად მონაწილეობა მიიღეს თბილისურმა ფოლკლორულმა ანსამბლებმა: „კერია“ (ხელ-ლი თ. გაბისონია), „ახალუხლებმა“ (ხელ-ლი თ. კაპანაძე), „ნანინამ“ (ხელ-ლი თ. კასაბური), „ჯვარულმა“ (ხელ-ლი ნ. ვალიშვილი), „ჩვენებურებმა“ (იხ. <http://artgeni.ge>).

**2009 წლის აგვისტოში** თურქეთის ქ. არჰავში ჩატარდა საგუნდო ფესტივალი, რომელშიც მონაწილეობა მიიღო ანსამბლმა „თუთარჩელამ“ (ხელ-ლი თ. ბუაძე).

**2009 წლის სექტემბერში** ქ. სტეფანწმინდაში გაიმართა ალ. ყაზბეგის იუბილისადმი მიძღვნილი ღონისძიება, რომელშიც მონაწილეობა მიიღო ქალთა ფოლკლორულმა ანსამბლმა „ნანინამ“ (ხელ-ლი თ. კასაბური) და ვაჟთა მოხეურმა ანსამბლმა „ჯვარულმა“ (ხელ-ლი ნ. ვალიშვილი).

**2009 წლის ოქტომბერში** ანსამბლმა „თუთარჩელამ“ შვეიცარიელ მომღერლებთან (ქ. ვინტერტურიდან) ერთად ჩაატარა ერთობლივი კონცერტები:  
5 ოქტომბერი - კონსერვატორიის მცირე დარბაზი  
9 ოქტომბერი - სოფელი სარფი  
13 ოქტომბერი - რუსთავის ხელოვნების სკოლა

**28.10.09** - ქ. ზუგდიდში გაიმართა ანსამბლ „ბასიანის“ სოლო კონცერტი.

**30.11.09** - მ. თუმანიშვილის სახელობის კინოსახიობთა თეატრში გაიმართა გ. გარაყანიძის მონოგრაფიის პრეზენტაცია "ქართული ეთნომუსიკის თეატრი და მისი საწყისები".

**2009 წლის ნოემბერ-დეკემბერ-იანვარში** ინგლისში, საქართველოსა და შვეიცარიაში გაიმართა ფესტივალი „ჩვენებურები“, რომელშიც მონაწილეობა მიიღო ანსამბლმა „შავნაბადა“.

**13-17.11.09** – უკრაინის დედაქალაქ კიევში გაიმართა „გალობის საერთაშორისო ფესტივალი“, რომელზეც მიწვეული იყო ანსამბლი „სახიობა“ (ხელ-ლი მ. ერქვანიძე).

**2009 წლის ნოემბერში** თბილისში, ჩეხეთის საელჩოში გაიმართა იოსებ რატილის შემოქმედებისადმი მიძღვნილი კონცერტი, რომელშიც მონაწილეობა მიიღო ანსამბლმა „მე რუსთველი“.

**13-14.11.09** ფილარმონიის დიდ საკონცერტო დარბაზში გაიმართა ანსამბლ „რუსთავის“ 40 წლის იუბილისადმი მიძღვნილი სოლო კონცერტი და გაიხსნა ანსამბლის ვარსკვლავი.

**2009 წლის ნოემბერში** გამოვიდა ა. ერქომაიშვილის წიგნები: „ქართული ხალხური სიმღერა. ანსამბლი „რუსთავი“, თანდართული 8 კომპაქტ-დისკით, რომლებიც მოიცავს ანსამბლ „რუსთავის“ ყველა თაობის

რეპერტუარს; „ქართული ხალხური სიმღერა“ (პირველი ფონოჩანაწერები, 1904-1914); „ქართული ფონოჩანაწერები უცხოეთში“ (კატალოგი, 1901-1950).

**12.12.09** - თბილისის ლიტერატურის მუზეუმში გაიმართა ქალთა საბჭოსა და ფოლკლორის სახელმწიფო ცენტრის მიერ ორგანიზებული ქალთა ფოლკლორული ანსამბლების ფესტივალი, რომელშიც თბილისური ანსამბლებიდან მონაწილეობა მიიღეს: „სათანაოში“, „ნანინამ“, „მზეთამზემ“, „თუთარჩელამ“.

**14.12.09** - მ. თუმანიშვილის სახელობის კინომსახიობთა თეატრში გაიმართა ე. გარაყანიძის სახელობის ეთნომუსიკის თეატრ "მთიებისა" და ლურჯი მონასტრის ბავშვთა სტუდია "ამერ-იმერის" ერთობლივი კონცერტი, რომელიც მიეძღვნა წმ. ანდრია პირველწოდებულისა და წმ. ვახტანგ გორგასლის ხსენების დღეს.

**18.12.09** - თბილისის ვ. სარაჯიშვილის სახელმწიფო კონსერვატორიის დიდ საკონცერტო დარბაზში გაიმართა ანსამბლ „სახიობას“ რიგით IV საანგარიშო სოლო კონცერტი. ანსამბლთან ერთად კონცერტში მონაწილეობა მიიღო „მამა დავითის ტაძრის მგალობელთა გუნდმა“.

**2009 წლის დეკემბერში** „ანჩისხატის ტაძრის გუნდმა“ გამოსცა ორი კომპაქტ-დისკო: 1. „გვიმღერია“, რომელიც შედგება ორი დისკოსაგან და მოიცავს „ანჩისხატის“ მიერ 22 წლის მანძილზე შესრულებულ რჩეულ სიმღერებსა და საგალობლებს; 2. „სულთათანა“, რომელიც მოიცავს პანაშვიდის საგალობლებს.

**2009 წლის განმავლობაში** „ანჩისხატის ტაძრის გუნდმა“ განახორციელა პროექტი, რომელიც ითვალისწინებდა საქართველოს სხვადასხვა ეპარქიებში წირვა-ლოცვის ჩატარებასა და ადგილობრივი მოსახლეობისათვის ფოლკლორული კონცერტების გამართვას.

**6.04.10** - კონსერვატორიის მცირე დარბაზში გაიმართა კონსერვატორიის სტუდენტთა კონცერტი უცხოელებისათვის, რომელშიც მონაწილეობა მიიღო კონსერვატორიის ფოლკლორულმა ანსამბლმა.

**20-23.04.10** - საერთაშორისო რეგიონული ფესტივალის „ხარისხი და პროფესია“ ფარგლებში ჩატარდა საერთაშორისო კონფერენცია „ცხოვრება ტურიზმის გზით – ქვეყნები, ისტორია, კულტურული ტურიზმი“ და ვორქშოფი თემაზე „ქართული ფოლკლორული სიმღერა“ (ვორქშოფის ლიდერი: ნატო ხუმბაძე).

**თბილისის ფოლკლორის სახელმწიფო ცენტრის** მიერ განხორციელებული პროექტების შესახებ იხილეთ ბმული <http://Folk.ge>.

### **დისერტაციების დაცვა**

თბილისის ვ. სარაჯიშვილის სახ. სახელმწიფო კონსერვატორიაში გაიმართა დისერტაციის დაცვები მუსიკოლოგიის დოქტორის ხარისხის მოსაპოვებლად (ქვესპეციალობა – ეთნომუსიკოლოგია):

**2.07.2009** - თ. გაბისონიამ დაიცვა დისერტაცია თემაზე: „ქართული ტრადიციული მრავალხმიანობის ფორმები“.

**2.07.2009** - დ. შუღლიაშვილმა დაიცვა დისერტაცია თემაზე: „რვახმის სისტემა ქართულ საეკლესიო გალობაში (საგალობელთა სანოტო ჩანაწერების მიხედვით)“.

**8.10.2009** - ნ. კალანდაძემ დაიცვა დისერტაცია თემაზე: „ქართული ნანა: ქანრის, სემანტიკისა და არტიკულაციის საკითხები“.

**12.02.2010** - მ. ხარძიანმა დაიცვა დისერტაცია თემაზე: „ნადირობის თემა სვანურ მუსიკალურ ფოლკლორში“.

### **კონფერენციები და კონცერტები**

**21-24.10.09** - ბათუმის ხელოვნების უნივერსიტეტის მუსიკის ფაკულტეტმა ჩაატარა **ფოლკლორული და სასულიერო მუსიკის IV საერთაშორისო ფესტივალი ბათუმში**, რომელიც მიეძღვნა წმ. გიორგი მთაწმინდელის დაბადებიდან 1000 წლისთავს. ფესტივალის ფარგლებში გაიმართა **სამეცნიერო კონფერენცია, კონცერტები** საქართველოს სხვადასხვა კუთხეებისა და უცხოელი შემსრულებლების ფოლკლორული კოლექტივების მონაწილეობით, ფოტოგამოფენა „ბათუმური ეტუიდები“ (გ. ნახუცრიშვილი), მინანქრის ნაკეთობათა გამოფენა-გაყიდვა.

კონფერენციაში მონაწილეობა მიიღეს მეცნიერებმა ბათუმის ხელოვნების უნივერსიტეტის მუსიკის ფაკულტეტისა და კიევის პ. ჩაიკოვსკის სახელობის სახელმწიფო კონსერვატორიის, თბილისის ვ. სარაჯიშვილის სახ. სახელმწიფო კონსერვატორიის მეცნიერებმა; მათ შორის ტრადიციული მრავალხმიანობის კვლევის საერთაშორისო ცენტრის წევრებმა

მ. ხარძიანმა და თ. გაბისონიამ. კონცერტებში მონაწილეობდნენ ანსამბლები, როგორც საქართველოდან (თბილისიდან, ბათუმიდან, ქობულეთიდან, საინგილოდან, სოფ. ახალშენიდან, ქედადან, სოფ. ცხმორისიდან, ხელვაჩაურიდან), ისე თურქეთიდან, იაპონიიდან, ბასკეთიდან (ესპანეთი).

**27.11.09** - თბილისის ვ. სარაჯიშვილის სახელობის სახელმწიფო კონსერვატორიაში ტრადიციული მრავალხმიანობის კვლევის საერთაშორისო ცენტრმა ჩაატარა **სამეცნიერო კონფერენცია თემაზე: „მრავალხმიანობა: ისტორიული, თეორიული და ეთნომუსიკოლოგიური ასპექტები“**. მონაწილეობის მთავარი პირობა იყო მოხსენების პრეზენტაცია Power Point-ის ფორმატით. კონფერენციაში მონაწილეობა მიიღეს თბილისის ვ. სარაჯიშვილის სახელობის სახელმწიფო კონსერვატორიის პროფესორ-მასწავლებლებმა, დოქტორანტებმა და მაგისტრანტებმა.

**1.12.09** – თბილისის ვ. სარაჯიშვილის სახელობის სახელმწიფო კონსერვატორიაში ჩატარდა **გიორგი მთაწმიდელის დაბადებიდან 1000 წლისთავისადმი მიძღვნილი სამეცნიერო კონფერენცია**, ბერძენიშვილის სახელობის საგამოფენო ცენტრში მოეწყო **ქართული გალობის საღამო**. კონფერენციაში მონაწილეობა მიიღეს თბილისის ვ. სარაჯიშვილის სახელობის სახელმწიფო კონსერვატორიის დოქტორებმა, მაგისტრანტებმა და ხელნაწერთა ინსტიტუტის მეცნიერ-თანამშრომლებმა. ქართული გალობის საღამოში მონაწილეობდნენ, როგორც ფოლკლორული ანსამბლები და მგალობელთა გუნდები, ისე გორის გიმნაზიის მოსწავლეთა გუნდი, ურუშაძეების საბავშვო სტუდია.

**11.02.10** - თბილისის ვ. სარაჯიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო კონსერვატორიაში ჩატარდა **ო. ჩიჯავაძის დაბადებიდან 90 წლისთავისადმი მიძღვნილი სამეცნიერო კონფერენცია და ფოლკლორული კონცერტი**. კონფერენციაში მონაწილეობა მიიღეს თბილისის ვ. სარაჯიშვილის სახელობის სახელმწიფო კონსერვატორიის დოქტორებმა და მაგისტრანტებმა, ასევე – ფოლკლორის სახელმწიფო ცენტრის თანამშრომლებმა. კონცერტში მონაწილეობდნენ თბილისური ფოლკლორული ანსამბლები.

**22-26.03.10** - თბილისის ვ. სარაჯიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო კონსერვატორიას ესტუმრა ესპანელი კომპოზიტორი და ეთნომუსიკოლოგი პოლო ვალეჰო, რო-

მელმაც წაიკითხა ლექციები აფრიკული ფოლკლორის შესახებ.

**27.04.10** - თბილისის ვ. სარაჯიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო კონსერვატორიის დიდ საკონცერტო დარბაზში გაიმართა ქედის რაიონის სოფ. მერისის **ფოლკლორული საღამო – „ერთი სოფლის ფოლკლორი“**. ორგანიზატორი: თბილისის ვ. სარაჯიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო კონსერვატორიის ეთნომუსიკოლოგიის მიმართულების მაგისტრატურის I კურსის სტუდენტი ნ. რაზმაძე.

**29-30.04.10** - თბილისის ვ. სარაჯიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო კონსერვატორიის სტუდენტურმა თვითმმართველობამ ჩაატარა **პირველი საერთაშორისო სამუსიკის-მცოდნეო კონფერენცია-კონკურსი**, რომელშიც მონაწილეობა მიიღეს სომეხმა, ბელორუსმა და ქართველმა სტუდენტებმა. ფოლკლორის ნომინაციაში გაიმარჯვა თბილისის კონსერვატორიის II კურსის სტუდენტმა თეონა ლომსაძემ. აღსანიშნავია, რომ წინა წელს ამავე ნომინაციაში გაიმარჯვა ამჟამად მაგისტრატურის I კურსის სტუდენტმა ნინო რაზმაძემ.

**07.05.10** – თბილისის ვ. სარაჯიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო კონსერვატორიის ქართული ხალხური მუსიკალური შემოქმედების მიმართულებამ ფოლკლორული ფესტივალებისა და ტრადიციული ხელოვნების ორგანიზაციათა საერთაშორისო საბჭოს (CIOFF) ეგიდით ჩაატარა **ახალგაზრდა ეთნომუსიკოლოგთა სამეცნიერო კონფერენცია**.

**მოამზადა მაკა ხარძიანმა**

## **ქართველი ეთნომუსიკოლოგის მსოფლიო აღიარება**

თბილისის ტრადიციული მრავალხმიანობის კვლევის საერთაშორისო ცენტრის უცხოეთის ბიუროს ხელმძღვანელს, მელბურნის უნივერსიტეტის პროფესორ იოსებ ჟორდანიას 27 მაისს ტოკიოში ფუმით კოიჯუმის პრიზი საზეიმოდ გადაეცა. მსოფლიო ეთნომუსიკოლოგიის ამ უდიდეს ჯილდოს, რომელიც წელიწადში ერთხელ ენიჭება ტრადიციული მუსიკის წამყვან



მკვლევრებს, ამჯერად საქართველო და ჩვენი სამეცნიერო ცენტრიც ეზიარა.

იოსებ ჟორდანიას ეს წარმატება მის ქართველ კოლეგებს, ცხადია, ძალიან გაგვიხარდა, მაგრამ დიდად არ გაგვიკვირვებია. მისი სამეცნიერო კარიერა, რომელიც ჩვენს თვალწინ ვითარდება, მდიდარია შემოქმედებითი მიგნებებით და გამარჯვებით. ყამირი მასალიდან საკვლევი მოვლენის შერჩევა, უხილავი კავშირების გამოაშკარავება და მოულოდნელი, მაგრამ სადა და ნათელი დასკვნების ჩამოყალიბება ეთნომუსიკოლოგიის დისციპლინაში იოსებ ჟორდანიასავით ძნელად თუ ვინმეს შეუძლია.

იოსებ ჟორდანიას, როგორც მკვლევრის ნიჭი უნაყოფო ადგილას არ აღმოცენებულა. მისი მამა საქართველოში და ყოფილ საბჭოთა კავშირში ცნობილი მუსიკოს-ფოლკლორისტი მინდია ჟორდანია ასეთივე მახვილი მეცნიერული ჭვრეტით გამოირჩეოდა. დედა – ნელი იმედაშვილი დღესაც ფორტეპიანოს ღვაწლმოსილი პედაგოგია.

ბატონი მინდია, ისევე როგორც შემდეგში ბატონი იოსები, მეც მასწავლიდა სოლფეჯიოს მუსიკალურ სასწავლებელში. მისი სტუდენტებთან მუშაობის ძირითადი მეთოდი იყო სმენის გამახვილება. „ბატონი ყურის თანახმად“ – იტყოდა ხოლმე ბატონი მინდია, როდესაც მის მიერ შედგენილი ასობით კარნახიდან ერთერთს გვაწერინებდა.

იოსებ ჟორდანიამ მამის გარდაცვალების შემდეგ, 1979 წელსვე დაიწყო პედაგოგიური საქმიანობა. ეთნომუსიკოლოგიაში, როგორც სპეციალობაში, მას კონსერვატორიაში სამი სტუდენტი ჰყავდა. მათგან სამივე დღეს მუსიკოლოგიის დოქტორია. ერთ-ერთი მათგანი კი – მისი მეუღლე ნინო ციციშვილი – დღეს მეღბურნის უნივერსიტეტის პროფესორია.

სწორედ ბატონი იოსების მიერ ჩატარებულმა საველე ექსპედიციებმა (ხევსურეთში, კახეთში, გუდამაყარში, მესხეთში, სვანეთში და ა.შ.)

გვაზიარა მეც და ბევრი ჩემი კოლეგაც ხალხური მუსიკის ჭეშმარიტ გულისცემას.

ისევე როგორც ყოველივე თვისობრივად ახალს, იოსებ ჟორდანიას იდეებსაც თავიდან გარშემომყოფნი სკეპტიკურად იღებდნენ. სამეცნიერო წრეებში განსაკუთრებული პოლემიკა იოსებ ჟორდანიას მეორე, სადოქტორო დისერტაციას მოჰყვა. მრავალხმიანობის, როგორც ანთროპოლოგიური თვალსაზრისით მნიშვნელოვანი ფაქტორის აღიარება თბილისის კონსერვატორიის სამეცნიერო წრეებში „ძნელად მოსანელბელი“ აღმოჩნდა. მუსიკოსთა შორის ამ ნაშრომის შესახებ აზრი ორად იყო გაყოფილი. იყვნენ სხვა დისციპლინების წარმომადგენელი მხარდამჭერებიც (დისერტაციაში უხვად იყო ანთროპოლოგიური და ენათმეცნიერული ძიებები); მახსოვს, როგორ გამოვიდა ამ სხდომაზე მოწვეული ექსპერტი, ენათმეცნიერების პროფესორი რისმაგ გორდუზიანი და იოსებ ჟორდანია თავის ასპირანტებიდან საუკეთესოს სახელით შეამკო. ზუსტად იგივე გაიმეორა ცნობილმა ანთროპოლოგმა, პროფესორმა მალხაზ აბდუშელიშვილმა. მაგრამ ამ დისერტაციამ დაბრკოლებები მაინც დიდი ბრძოლის შედეგად გადალახა.

ძნელია ისაუბრო იმის შესახებ, თუ რამ აიძულა იოსებ ჟორდანია თავისი ახლადშერთული მეუღლით და პატარა ვაჟით ავსტრალიაში გადასახლებულიყო. მაგრამ შეიძლება დანამდვილებით ითქვას, რომ ამ „ექსპერიმენტმა“ გაამართლა. იოსებ ჟორდანიას ნიჭს უფრო ფართო გასაქანი მიეცა. მისმა შრომისმოყვარეობამ მრავალ წინაღობას გადააბიჯა (იგი და მისი მეუღლე მუსიკის გაკვეთილებითაც ავსებდნენ დასაწყისში თავის მწირ ბიუჯეტს) და რამდენიმე წელიწადში მას უკვე მსოფლიოს წამყვან ეთნომუსიკოლოგებს შორის ვხედავთ. იოსებ ჟორდანიას მიღებული აქვს ინგლისისა (და ასევე ავსტრალიის) დედოფლის ელისაბედ მეორის „საუკუნის მედალი“ ავსტრალიის საზოგადოების განვითარებაში შეტანილი წვლილისათვის“.

დღეისათვის იოსებ ჟორდანიას ასზე მეტი სამეცნიერო ნაშრომი, სამი წიგნი და მრავალი სამეცნიერო თუ პოპულარული სტატია ეკუთვნის. იგი ინტენსიურად მონაწილეობს (ზოგჯერ მეუღლესთან ერთად) მსოფლიოს სხვადასხვა კუთხეში გამართულ სამეცნიერო კონფერენციებში და ხშირად ვხედავთ ამ უკანასკნელთა ორგანიზატორებს შორის. განსაკუთრებით დიდია მის ღვაწლი ხალხური მრავალხმიანობისადმი მიძღვნილ სამეცნიერო ფორუმთა ორგანიზებაში, რომელთა შორის, აღსანიშნავია თბილისის ტრადიციული მრავალხმიანობის კვლევის საერთაშორისო სიმპოზიუმი.

სწორედ ხალხური მრავალხმიანობაა ის ფენომენი, რომელიც იოსებ ჟორდანიას სამ-



## „ჯვარული“

შობლოს, საქართველოს ეთნიკური მუსიკის ყველაზე ბუნებრივი გარემოა. მართლაცდა ქართულ მრავალხმიანობას, თავისი ორიგინალობითა და მაღალგანვითარებულობით მსოფლიოში ცნობილს, უნდა ეშვა თავის წიაღში ამ ფენომენის ასეთი დონის მკვლევარი და ექსპერტი.

ბატონი იოსები ყოველთვის პრობლემის გადაჭრაზეა ორიენტირებული. მას არ აშინებს პრობლემის მასშტაბი, ისევე, როგორც არ აშინებდა თბილისის ცირკში გაღიაში შესვლა და ვეფხვებთან თამაში. ამასთან, მიუხედავად იმისა, რომ ბატონი სოსო ახალგაზრდობაში წარმატებით წერდა ფანტასტიკურ მოთხრობებს, იგი მკაცრად წონის ყოველ ფაქტს და ფრთხილად აკოწიწებს ჰიპოთეზას.

ქართული ეთნომუსიკოლოგიისათვის მეტად მნიშვნელოვანია მისი წიგნი „ტრადიციული ქართული მრავალხმიანობა მრავალხმიან კულტურათა საერთაშორისო კონტექსტში“, რომელიც ავსტრალიაში წასვლამდე, 1989 წელს გამოიცა და პრობლემის სიფართოვით, თეორიული კვლევის მრავალმხრივობით და მასშტაბით დღემდე ანალოგი არ გააჩნია საქართველოს მუსიკალურ ფოლკლორისტიკაში. სწორედ ამ გამოცემაში დაფიქსირდა ხალხური მრავალხმიანობის სხვადასხვა ხალხებში გენეტიკური განპირობებულობის იდეა. დღეს იოსებ ჟორდანიას მოსაზრება იმის შესახებ, რომ მრავალხმიანობა ადამიანის ფიზიოლოგიური უნარია და არა – დროის განმავლობაში ჩამოყალიბებული ჩვევა, უკვე მიღებული თეორიაა სამეცნიერო წრეებში.

არანაკლებ მნიშვნელოვანია იოსებ ჟორდანიას უკვე ავსტრალიაში მოღვაწეობის დროს, 2006 წელს გამოცემული წიგნი „ვინ დასვა პირველი შეკითხვა? ადამიანური საგუნდო სიმღერის, აზროვნების, ენისა და მეტყველების სათავეები“, სადაც მსოფლიო მრავალხმიანობის კერათა ფართო ანალიზის ფონზე წარმოდგენილია საფუძვლიანი თეორია ერთზე მეტ ხმაში მღერის და დაკვრის ფენომენის წარმოშობის შესახებ. ამჟამად პორტუგალიაში გამოცემის პროცესშია იოსებ ჟორდანიას ახალი წიგნი „საგუნდო სიმღერა ადამიანის კულტურასა და ევოლუციაში“. საზოგადოდ, ბოლო დროს ბატონი იოსები განსაკუთრებულადაა დაინტერესებული ადამიანის გენეზისის ზოგადანთროპოლოგიური საკითხით – და არამარტო მუსიკალური თვალთახედვით.

გულოცავთ პროფესორ იოსებ ჟორდანიას მსოფლიო აღიარებას და ვუსურვებთ კვლავაც ღირსეულად წარმოეჩინოს მსოფლიო ასპარეზზე ქართული მუსიკალურ-სამემსრულებლო და სამეცნიერო კულტურა.

თამაზ გაბისონია

ვაჟთა ფოლკლორული ანსამბლი „ჯვარული“ 2007 წლის შემოდგომაზე შეიქმნა. მის შემადგენლობაში თხუთმეტამდე მოხევე ახალგაზრდაა, ტრადიციული მოხეური ოჯახებიდან. მათი უმეტესობა სტუდენტები და მაგისტრანტები არიან და დროებით თბილისში ცხოვრობენ, ზოგი კი სტეფანოპოლისის რაიონიდან სპეციალურადაც ჩამოდის რეპეტიციებისთვის. ანსამბლს ეთნომუსიკოლოგი, ქალთა ფოლკლორულ ანსამბლ „მხეთამხეს“ წევრი, ფოლკლორის სახელმწიფო ცენტრის მუსიკის მიმართულების ხელმძღვანელი, მთის ფოლკლორის მკვლევარი ნანა ვალიშვილი ხელმძღვანელობს.

„ჯვარულის“ შექმნა მოხეური სამუსიკო ფოლკლორის ტრადიციების ყოფიდან გაქრობის საშიშროებამ განაპირობა. დღეს ხევში, პრაქტიკულად, აღარავინ მღერის მოხეურ საკულტო-საფერხულ, შრომის თუ სუფრულ სიმღერებს. მათი საკმაოდ მცირე რაოდენობა მხოლოდ არქივებში დაცულმა საექსპედიციო ჩანაწერებმა და თითო-ოროლა სანოტო ნიმუშმა შემოგვინახა. ის კი, რაც ბოლო პერიოდში ქართულ საკონცერტო ესტრადაზე „მთის სიმღერებად“ მოიხსენიება, სინამდვილეში ერთფეროვანი თანამედროვე საავტორო სიმღერებია. დრომ მოიტანა და, დვთის მადლით, გამოჩნდნენ ახალგაზრდები, რომლებმაც სრულიად უანგაროდ მოჰკიდეს ხელი მოხეური სიმღერების აღდგენა-გაცოცხლების საშვილიშვილო საქმეს. ღირსეული ვაჟკაცები არიან, ერთგულები და შრომისმოყვარენი, გამორჩეულნი ვაჟკაცური ბუნებით, სამშობლოსა და წინაპრების სიყვარულით, სიმღერა-გალობის სიყვარულით...

„ჯვარული“, უპირველეს ყოვლისა, ყურადღებას იმსახურებს აუთენტურობისა და ტრადიციის მემკვიდრეობითობის მხრივ. მთავარი თავისებურება, რაც ანსამბლსა და მის წევრებს გამოარჩევს, ისაა, რომ არც ერთს არ აქვს მუსი



კალური განათლება. შეიძლება ითქვას, ეს ფაქტორი სასიკეთოდაც კი აისახება ანსამბლის საშემსრულებლო სტილსა და მანერაზე, რომელიც მთლიანად ხალხურ ტრადიციებს ემყარება. სიმღერების შესწავლის პროცესსა და შესრულების თავისებურებებზე აშკარად მოქმედებს გენეტიკური ფაქტორი: ეს ახალგაზრდები ქვეშეცნეულად მატარებელნი არიან თავიანთ წინაპართაგან გენეტიკურად გადმოცემული კოდისა თუ მუსტისა; ისინი ყოველწუთიერად ხევის სამყაროთი საზრდოობენ და სიმღერებსაც წინაპართაგან – ძველი ჩანაწერებიდან სწავლობენ. ამ ჩანაწერებმა კი ხევისთვის დამახასიათებელი თავისებური შესრულების მანერა შემოგვინახა, რაც ახალგაზრდებმა ზედმიწევნით კარგად გაითავისეს. ამიტომაც, შეიძლება, პირველი მოსმენისას უცნაურად მოგვეჩვენოს მათ მიერ ტრადიციული მანერით, ხალხურ კილოში შესრულებული სიმღერები.

ანსამბლს უძველესი საკულტო-სარიტუალო სიმღერის სახელი ეწოდა: „ჯვარული“ ბოლო სამოცი-სამოცდაათი წელია, ხევის ცოცხალი ყოფიდან გაქრა და აღარ იმღერება.

2008 წლის 30 აპრილს ანსამბლი „ჯვარული“ პირველად წარსდგა სოლიდური აუდიტორიის წინაშე. ეს გახლდათ სახელმწიფო კონსერვატორიისა და ტრადიციული მრავალხმიანობის კვლევის საერთაშორისო ცენტრის მიერ კონსერვატორიის დიდი დარბაზის ფოიეში გამართული ფონოგრაფის ლილვაკებიდან აღდგენილი უძველესი ჩანაწერების პროექტის – „ხმები წარსულიდან“ – პრეზენტაცია. სწორედ ეს ჩანაწერები იქცა ანსამბლის შემოქმედებით სტიმულად და ძირითადი რეპერტუარის წყაროდ. ამას გარდა, მათ რეპერტუარში თბილისის სახელმწიფო კონსერვატორიის ფონოარქივში დაცული მოხეური ხალხური სიმღერებიცაა. განსაკუთრებულ შემთხვევაში ანსამბლი სიმღერების იმ ვარიანტებსაც აღადგენს, რომელთა მხოლოდ სანოტო ჩანაწერებია შემორჩენილი.

„ჯვარული“ 2008 წლის სექტემბერში მონაწილეობდა ტრადიციული მრავალხმიანობის კვლევის IV საერთაშორისო სიმპოზიუმის კონცერტებში, ერთი წლის შემდეგ – ბათუმში გამართულ ტრადიციული ხალხური და საეკლესიო მუსიკის კონფერენციასა და ფესტივალში. გასულ წელს „ჯვარული“, როგორც ვაჟთა რეგიონული ახალგაზრდული ანსამბლი, ქალთა ფოლკლორულ ანსამბლ „ნანინასთან“ ერთად (ხელმძღვანელი თეა კასაბური), მიწვეული იყო ლატვიაში, ბურღონული მრავალხმიანობის საერთაშორისო ფესტივალზე – „ბალტიკა-2009“. ამ ფესტივალში „ჯვარულის“ მონაწილეობას ისტორიული ფაქტის მნიშვნელობაც ჰქონდა, რადგან ეს იყო ზოგადად

პირველი პრეცედენტი მოხეური მუსიკალურ-ფოლკლორული ტრადიციების საერთაშორისო ასპარეზზე გატანისა.

2009 წლის მაისში „ჯვარულმა“ პირველი კომპაქტური ალბომი გამოსცა.

**სოფიო კოტრიკაძე**

*ქართული სიმღერის უცხოელი შემსრულებლები*

## ბრიტანული გუნდი „მასპინძელი“

ბრიტანული გუნდი „მასპინძელი“ უკვე 10 წელია ქართული ხალხური სიმღერების ერთ-ერთი შემსრულებელია.

ანსამბლის შექმნისა და შემოქმედებითი მოღვაწეობის შესახებ მოგვითხრობენ „მასპინძლის“ ამჟამინდელი ხელმძღვანელები **თამთა თურმანიძე** და **მარკ თომასი**.

**თ.თ.** პირველად ინგლისელების ქართული სიმღერა ტრადიციული მრავალხმიანობის მესამე საერთაშორისო სიმპოზიუმზე 2006 წელს მოვისმინე თბილისში. მაშინ მე ჩემს პარიზულ გუნდ „ირინოლასთან“ ერთად ვიყავი ჩამოსული საქართველოში. ჩვენ ორ გუნდს ერთ დღეს მოუწია კონსერვატორიაში კონცერტის ჩატარება. კონცერტის შემდეგ ერთმანეთს ვეღარ დავშორდით და სიმღერა უკვე სხვაგან, სუფრის გარშემო გავაგრძელებთ.

საიდან დაიწყო ქართული ფოლკლორისადმი ინტერესი დიდ ბრიტანეთში?

80-იან წლებში ინგლისში მნიშვნელოვანი მოძრაობა დაიწყო, რომლის შინაარსი იყო ხალხის ფართო მასების დაბრუნება სიმღერასთან. ჩამოყალიბდა მოყვარულთა მრავალი გუნდი, სადაც ყველას შეეძლო ემღერა, განურჩევლად ასაკისა, ხმისა და, ზოგადად, მუსიკალური მონაცემებისა. ამ გუნდების რეპერტუარში ხშირად მსოფლიოს სხვადასხვა კუთხის სიმღერაც შედიოდა.

90-იანი წლების დასაწყისში საქართველოს ბრიტანეთის რამდენიმე მნიშვნელოვანი თეატრალური ჯგუფი სტუმრებია და შინ ქართველების მრავალხმიანობითა და სტუმართმოყვარეობით მოხიბლული დაბრუნებულან. 1994 წელს უელსში არსებულ საშემსრულებლო კვლევის ცენტრს

ელიშერ გარაყანიძე და იოსებ (სოსო) ჟორდანიას მიუწვევია ბრიტანეთში. ამ ორი მასწავლებლის სტუმრობამ და მათ მიერ ჩატარებულმა ქართული სიმღერის გაკვეთილებმა უამრავი ხალხი მიიზიდა თურმე.

1996 წელს ბრიტანეთს ელიშერ გარაყანიძესთან ერთად უკვე “მთიებიც” ესტუმრა. ქართული ფოლკლორისადმი ინტერესი სულ უფრო და უფრო გაიზარდა.

ელიშერს, როგორც ჩანს, კარგად უგრძნია, რა სჭირდებოდათ მაშინ ბრიტანელებს და ცდილობდა, ქართული სიმღერა მათთვის შედარებით ხელმისაწვდომი გაეხადა. მის მიერ ნოტებზე ხელით დაწერილი სიმღერები დღესაც ძალიან მნიშვნელოვანი და ძვირფასია “მასპინძელის” რეპერტუარში. ბატონი ელიშერის გარდაცვალების შემდეგ, მისმა ერთ-ერთმა ინგლისელმა მეგობარმა, მუსიკოსმა ჰელენ ჩადვიკმა ლონდონში ქართული გუნდის დაარსება გადაწყვიტა. რამდენიმე თვეში ეს გუნდი უკვე პირველ საქველმოქმედო კონცერტს მართავდა ლონდონის ერთ-ერთ ტაძარში.

გუნდი მთლიანად უცხოელებისგან შედგებოდა. ერთადერთი ქართველი ქეთევან კალანდაძე იყო. სწორედ მას შეურჩევია გუნდისთვის სახელი – “მასპინძელი”. ამ სახელით დღესაც ძალიან ამაყობენ გუნდის წევრები და ქართველი სტუმრების კარგად დახვედრას ცდილობენ ყოველთვის. სტუმრების შესახებ კი ცოტა მოგვიანებით მოგახსენებთ.

### ხელმძღვანელები

გუნდს უკვე რამდენიმე ხელმძღვანელი ჰყავდა: ჰელენ ჩადვიკი, ვენის მენდი, სალი დევისი, ლუსი გიბსონი, ჯეფ ბარტონი. თითოეულმა მათგანმა თავისი წვლილი შეიტანა გუნდის განვითარებაში და საკუთარი შესაძლებლობებისა და გემოვნების მიხედვით წაიყვანა გუნდი. გასული აგვისტოდან კი მე და მარკ თომასი ვცდილობთ, ჩვენებურად წავეყვანოთ “მასპინძელის” საქმე.

**მ. თ. –** როგორ გავხდი “მასპინძელის” წევრი?

როცა ჩემი მეუღლე “მასპინძელის” კონცერტზე წავიდა პირველად, გადაწყვიტა, რომ ქართული სიმღერები თვითონაც უნდა ემღერა. აღმოჩნდა რომ კონცერტის შემდეგ პირველი რეპეტიცია ჩემს დაბადების დღეს ემთხვეოდა. რა უნდა ექნა? ძალიან უნდოდა რეპეტიციაზე დასწრება. უფიქრია, ერთი გასროლით ორ კურდღელს მოვკლავო და დაბადების დღის საჩუქრად “მასპინძელის” რეპეტიციაზე დასწრება მომიწყო. როგორც შემდეგ გავარკვიე, ახალბედა წევრებისთვის პირველი რეპეტიცია უფასო ყოფილა, ანუ ჩემს მეუღლეს ჩემი დაბადების დღისთვის ხარჯი არ ჰქონია. მაგრამ რა უჭირს? – მთავარი ისაა, რომ ხუთი წლის



შემდეგ ორივე ისევ გუნდის აქტიური წევრები ვართ. ის კი არა, ამ რამდენიმე თვის წინ, გუნდის თანახელმძღვანელი გავხდი თამთასთან ერთად. ასე რომ, დაბადების დღის საჩუქარი ურიგო არ აღმოჩნდა.

**რატომ მაინცდამაინც ქართული სიმღერა?**

მე ვასრულებ ქართულ ხალხურ სიმღერებს, რადგანაც მიყვარს ამ სიმღერების გამომხატველობითი მანერა, არატემპერირებული ჰარმონია და იმ ხალხთან მღერა, ვინც ამ სიმღერების შემდეგ ცოტა ხანში მეგობრები ხდებიან. ნადურებთან საოცარ შინაგან კავშირს ვგრძნობ, მიყვარს სუფრული სიმღერების ხალისიანი ტონი (მელანქოლიურებიც საკმაოდ ხალისიანად ჟღერენ) და საგალობლების სიძლიერე და სიღამაზე. ჩემთვის ქართული სიმღერა არის მთელი სხეულით სამღერი და აღსაქმელი რამ. როგორც უცხოელისთვის, სიმღერის სიტყვებს ჩემთვის შედარებით ნაკლები მნიშვნელობა აქვს, ვიდრე მუსიკას, თუმცა ტექსტების სწორად გამოთქმას დიდ ყურადღებას ვაქცევ.

მსიამოვნებს როცა სიმღერების მოსმენის დროს ვცდილობ დავიჭირო და გავიმეორო საქართველოს სხვა და სხვა კუთხის სიმღერისათვის დამახასიათებელი ტონი. მაგრამ ეს არ ნიშნავს იმას, რომ მე ფსევდო-ქართველობა მსურს. ეს ხომ სასაცილო იქნება. მე ვეროპელიც არ ვარ, ვარ ახალზელანდიელი და კმაყოფილი ვარ კიდევ ამით. მაგრამ, ჩემი აზრით, მთელი თავგადასავალია ქართული სიმღერის შესწავლა, მისი ხმოვანების, ტემბრის, ტონალობისა და ესთეტიკის გამოკვლევა. ეს მუსიკალური თავგადასავალი ჩემს ყოველდღიურ ცხოვრებას მაშორებს და ძალიან სასიამოვნოა. იმ ხალხთან მღერა, ვინც გიყვარს, სულის საზრდოა – შემაკავშირებელი და ამამაღლებელი. ის რომ უამრავი ქართული სიმღერა სუფრას უკავშირდება, რაღა თქმა უნდა ყველაფერს გვიოილებს!

**თ.თ.** „მასპინძელი“ ღია საზოგადოების ტიპის გუნდია. ზუსტად რამდენი წევრია, ალბათ, არავინ იცის. მეცადინეობებზე ოცდაათამდე ადამიანი მოდის ხოლმე. ვიკრიბებით თვეში



ერთხელ, 4 საათით. უფრო ხშირი მეცადინეობა არ ხერხდება, რადგან “მასპინძელის” წევრთა დიდი უმრავლესობა ლონდონიდან საკმაოდ შორს ცხოვრობს.

ამ გუნდში ტრადიციულად, ზედა ხმებს ქალები მღერიან, ბანს – მამაკაცები. ზედა ხმებს უმრავლეს შემთხვევაში რამდენიმე ქალი ერთად მღერის.

როგორც ზემოთ მოგახსენეთ, “მასპინძელის” ტიპის მოყვარულთა გუნდების პრინციპი ისეთია, რომ გუნდში ყველას შეუძლია გაწევრიანება, აქ არავინ ამოწმებს მსურველის მუსიკალურ მონაცემებს. თითქმის ყველა რეპეტიციასზე მოდის ვინმე ახალი.

შემდეგში ზოგს მოსწონს და რჩება გუნდში, ზოგიც – როგორც მოვა, ისევე შეუშინებლად გაქრება ხოლმე. მოკლედ, “მასპინძელში” სიმღერა ყველას შეუძლია. ადამიანური თვალსაზრისით, ეს ძალიან კარგია, მაგრამ პროფესიული კუთხით – ფრიად არადამაკმაყოფილებელი.

პირადად მე, სიმღერა, საფრანგეთში რომ წავედი, მაშინ დავიწყე. 2000 წლიდან პარიზში არსებული ქალთა გუნდის „ირინოლას“ წევრი გახლდით. 2007 წლიდან კი ლონდონში გადმოვედი საცხოვრებლად და მოგვიანებით „მასპინძელში“ დავიწყე სიმღერა. შესაბამისად, უცხოელების ქართულ სიმღერას მიჩვეული ვარ და, ალბათ, მათი შეცდომებისა და თავისებური ქართულის მიმართაც შედარებით შემწეობა რეგულირდება.

გუნდი უკვე 10 წლის ისტორიას ითვლის, საქართველოში რამდენჯერმეა ნამყოფი, ბრიტანეთშიც უამრავი ქართველი სტუმარი მომღერალ-მასწავლებელი ჰყოლია, ამიტომ მგონია, რომ უნდა ჩანდეს განსხვავება 10 წლის წინანდელ ნამღერსა და დღევანდელს შორის. ცხადია, უცხოელებს არავინ მოსთხოვს, ქართველებივით იმღერეთო და თვითონაც არ სურთ ვითომ ქართველობა. მაგრამ წინსვლა და გუნდის მეტად გამოცოცხლება ხომ მაინც შეიძლება?!

აქამდე გუნდს ქართველი ხელმძღვანელი არ ჰყოლია, ახლა კი საქმე სხვაგვარადაა, მე ხომ აქ ვარ. ახლა მეტი მოგვეთხოვება. ვცდილობ, ნელ-ნელა ისწავლონ სხვადასხვა კუთხის სიმღერის გარჩევა, მათი თავისებურებები და ხასიათი.

### შესწავლის მეთოდი

„მასპინძელის“ რეპერტუარი საკმაოდ შთამბეჭდავია. 10 წლის განმავლობაში ბევრი სიმღერა დაგროვდა, ზოგი ნოტებიდან ნასწავლი, ზოგი სხვადასხვა ჩანაწერიდან, ბევრიც ქართველი მასწავლებლებისგან. როგორც აღვნიშნე, ბრიტანეთში სტუმრად სხვადასხვა დროს იყვნენ: ედიშერ გარაყანიძე, გიგი გარაყანიძე, “მთიები”, სოსო ჟორდანიას, ანსამბლი “მზეთამზე”, “ნანინა”, გუნდი “ანჩისხატი”, “ბასიანი”, “შავნაბადა”... შარშანდელი წელი გამორჩეული იყო სტუმრიანობით. მალხაზ ერქვანიძე, გიგი გარაყანიძე, გიორგი დონაძე, ნანა მუჟაანაძე, ანზორ ერქომაიშვილი, დათო ცინცაძე.

ყველა მასწავლებელს ჩვენთვის ახალი სიმღერა მოაქვს. შესწავლა ძირითადად ზეპირად ხდება, რაც ცოტათი უჭირთ ნოტებს მიჩვეულ უცხოელებს. მაგრამ ვცდილობთ, სწორად დავიმახსოვროთ, აუდიო ჩანაწერებიც გავაკეთოთ, რომ შემდეგ უკვე ჩვენ თითონ ვიმუშაოთ იმავე სიმღერებზე.

ამჟამად შარშან ნასწავლი სიმღერების გამყარებასა და საკონცერტოდ მომზადებას ვცდილობთ.

გაგეცინებათ, მაგრამ ყოველ რეპეტიციას ქართული ხმოვნების გამოთქმით ვიწყებთ, ჯერ თქმით, მერე სიმღერით. ვიდრე რომელიმე სიმღერაზე მუშაობას შევუდგებით, ჯერ ზოგადად “ხმის ამოდებაზე” ვმუშაობთ. ვცდილობთ, ვისწავლოთ, შენი ხმა სხვას როგორ გააგონო, რომ სათქმელი ითქვას და ამას არც ყვირილი დასჭირდეს და არც სხეულის განსაკუთრებული მობილიზება. მოკლედ, ანბანსაც ვსწავლობთ და “ვეფხისტყაოსანსაც” – ერთდროულად.

წელიწადში ორჯერ ვმართავთ საქველმოქმედო კონცერტებს. მცირედი შემოწირულობა საქართველოში იგზავნება ხოლმე.

### მომავლის გეგმები

ჩვენთვის მომავლის მთავარი გეგმა 2010 წლის ოქტომბერში, საქართველოში მრავალხმიანობის საერთაშორისო სიმპოზიუმზე მონაწილეობის მიღებაა. ჩემთვის და მარკისტისთვის, როგორც გუნდის ახალი ხელმძღვანელებისთვის, ეს დიდი პასუხისმგებლობაა. “მასპინძელს”, ისევე, როგორც ნებისმიერ სხვა უცხოელებისგან შემდგარ გუნდს, ცხადია, საქართველოში ყოველთვის ძალიან თბილად ხვდებიან. ქართველებს ბავშვებივით გვიხარია ხოლმე ვინმე სხვა ერის შვილი ქართულად თუ ორ სიტყვას გვეტყვის.

თუ სიმღერაც დაიწყო, მაშინ ხომ გულში ვიკრავთ და ძალიან ვაქებთ.

მე და მარკს კი გვინდა ეს ქება დამსახურებული იყოს.

უკვე დავგვეგმეთ 2-3 დღიანი დამატებითი მეცადინეობები მათთვის, ვინც საქართველოში წამოსვლას ფიქრობს და ვცდილობთ კიდევ უფრო მეტად შევაგულიანოდ მომღერლები. იმედი გვაქვს, რომ ოქტომბერში, თბილისში, „მასპინძელი“ თითონაც გაიხარებს და ქართველ მსმენელსაც ასიამოვნებს.

**თამთა თურმანიძე**  
ლონდონი, დიდი ბრიტანეთი

**უცხოელები ქართული ფოლკლორის შესახებ**

**ინტერვიუ  
პოლო  
ვალკოსთან**

2010 წლის 22-26 მარტს თბილისის ვ. სარაჯიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო კონსერვატორიას ესტუმრა ესპანელი კომპოზიტორი და ეთნომუსიკოლოგი პოლო ვალკოს, რომელიც დაინტერესებულია ქართული მრავალხმიანობის კვლევით, აქტიურად თანამშრომლობს მრავალხმიანობის კვლევის საერთაშორისო ცენტრთან და ჩვენი სიმპოზიუმების მუდმივი მონაწილეა. ვფიქრობთ, საინტერესოა მისი მოსაზრებები ქართული მუსიკალური ფოლკლორის შესახებ და გთავაზობთ მასთან ინტერვიუს, რომელიც ჩაიწერა მრავალხმიანობის ცენტრის სპეციალისტმა მაკა ხარძიანმა.

**მ.ხ. დიდი მადლობა თქვენი სტუმრობისა და საინტერესო ლექციებისთვის, და ზოგადად, თქვენი დამოკიდებულებისათვის ქართული ხალხური მუსიკის მიმართ.**

**როგორ შედგა თქვენი ნაცნობობა ქართულ ხალხურ მუსიკასთან და როგორი იყო თქვენი პირველი შთაბეჭდილება?**

**პ.ვ.** სტუდენტობის დროს მუნხენში მუსიკალურ მაღაზიაში, სადაც ვეძებდი დებიუსის „პელეასსა და მელისანდას“, ერთმა სიმღერამ დამაინტერესა და შევიძინე ფირფიტა. ეს იყო ანსამბლ “რუსთავის” კომპაქტური დისკო; ამ მუსიკამ ძალიან მომხიბლა, დრო და დრო ვუსმენდი ხოლმე, მერე კი შევინახე, ვინაიდან იმ პერიოდში დავიწყე აფრიკაში მოგზაურობა. შემდეგ, როდესაც პირველად ჩამოვედი საქართველოში და სიმპოზიუმზე წარმოვადგინე აფრიკაში გატარებული 18 წლის შრომის შედეგი, აქ ცოცხალი შესრულებით მოვისმინე ქართული

მუსიკა, რამაც უდიდესი შთაბეჭდილება მოახდინა ჩემზე. სიმჰა არომთან ერთად ვუსმენდი და ვუზიარებდი ჩემს შთაბეჭდილებებს, კომენტარებს ვაკეთებდი ამ მუსიკაზე, მის სიმღერებზე, ენაზე, ორიგინალობაზე, სირთულეზე. აფრიკის შემდეგ ეს იყო ჩემი პირველი შთაბეჭდილება, რაც ბუნებრივად გადაიხარდა კვლევაში, რომელიც ახლაც მიმდინარეობს.

**მ.ხ. აისახა თუ არა ქართული მრავალხმიანობის რომელიმე თვისება თქვენს მუსიკალურ კომპოზიციებში?**

**პ.ვ.** ესპანური ქალთა გუნდისთვის შარშან შექმნილ ერთ ვოკალურ კომპოზიციაში, რომელიც ჯერ არ შესრულებულა, თავი მოგუყარე ყველა შთაბეჭდილებას, რომელიც ქართული მრავალხმიანობისაგან მიმიღია. ჩემს კომპოზიციებში აშკარად ჩანს აფრიკული მუსიკის გავლენა, მაგრამ არ მინდა შევქმნა რაღაც კლიშე, რადგან ეს ქართული მუსიკაა. ჩემს ნაწარმოებებში გამოვიყენე ქართული მუსიკის არაერთი ნიმუშის გაანალიზების შედეგად მიღებული ჰარმონიული შთაბეჭდილებები, მაგრამ ვერ იტყვი, რომ ეს ქართული მუსიკაა, თუმცა მე განვიცადე მისი ზემოქმედება. მაგალითად, ტექნიკურად როგორ უნდა გადახვიდე ერთი ბგერიდან მეორეზე ინტერვალური ნახტომის გარეშე. ქართული მუსიკიდან ავიღე სამ ხმას შორის ურთიერთკავშირიც.

**მ.ხ. როგორც ვიცით, თქვენ კომპოზიტორი იყავით და მერე აირჩიეთ ეთნომუსიკოლოგია. ეს როგორ მოხდა?**

**პ.ვ.** არასდროს მინდოდა ეთნომუსიკოლოგობა, მაგრამ გავხდი. ბავშვობაში ვფიქრობდი, რომ მუსიკა იყო რაღაც უზარმაზარი, თუ გინდოდა იმღერებდი, თუ გინდოდა დაუკრავდი და ა.შ. ჩემს პროფესიაში რთულია ერთი რამის გამოკვეთა. ვაღიარებ, რომ უფრო კონცენტრირებული ვარ კვლევასა და მუსიკალურ განათლებაზე.



ვმუშაობ ბავშვებთან, პედაგოგებთან, მომწონს ეს ურთიერთობები, მაგრამ, რას ვიყენებ? რა თქმა უნდა, ამას ამოდ არ ვაკეთებ. ყველა ეს დისციპლინა დაკავშირებულია ტრადიციებთან. მე ვიყენებ ტრადიციებს მუსიკის შესაქმნელად, კვლევებისათვის და სწავლებისათვის. მაგრამ კონცენტრირებული ვარ კვლევაზე.

**მ.ხ. რა სახის მუსიკალური კვლევის ჩატარებას აპირებთ ქართულ მუსიკაში?**

**პ.გ.** ეს ძალიან რთული შეკითხვაა. ქართულ მრავალხმიანობას აქვს უნიკალური ენა, როდესაც ამ მუსიკას ვუსმენთ, ვგრძნობთ მასთან სიახლოვეს და ამავდროულად, ის შორსაა ჩვენგან; ეს პარადოქსია. როდესაც ისმენ აფრიკულ მუსიკას, იცი რომ ის აფრიკულია, მაგრამ როდესაც „ბასიანმა“ ესპანეთში იმღერა „მრავალხმიანი“, აუდიტორია ვერ მიხვდა, თუ საიდან იყო ეს მუსიკა. ვფიქრობ, რომ მდიდარი ჰარმონია და ის, თუ როგორაა აკორდები ერთმანეთთან დაკავშირებული, განაპირობებს ქართული მრავალხმიანობის ორიგინალობას. ჩვენ პირველ ნაბიჯებს ვდაგამთ (მრავლობით რიცხვში ვსაუბრობ, ვინაიდან მე და სიმჰა არომი ერთად ვმუშაობთ და ერთმანეთს ვუზიარებთ აზრებს), ვცდილობთ გავიგოთ, რა ხდება საქართველოში. განსაკუთრებით გვაინტერესებს მუსიკალური სისტემები. გვინდა ვიცოდეთ, როგორ არის მუსიკა აგებული, განსაკუთრებით საინტერესოა ქართული მუსიკის ჰარმონია. ჩვენზე დიდი შთაბეჭდილება მოახდინა მისმა ჰარმონიულმა სინტაქსმა. მაგრამ, როცა ვცდილობთ შევადწინოთ ჰარმონიულ სტრუქტურებში, რათა მოვიპოვოთ მეტი ინფორმაცია, ვხვდებით, რომ იგი ყველა რეგიონის საერო და სასულიერო მუსიკაში განსხვავებულია. ჯერჯერობით ჩვენ მხოლოდ ვცდილობთ ამ სისტემაში შეღწევას.

**მ.ხ. პირველ სტატიაში თქვენ ძირითად ყურადღებას ამახვილებთ ქართული ხალხური სიმღერების მუსიკალურ სტრუქტურებზე. აპირებთ თუ არა ჩვენი ფოლკლორის შესწავლას სოციო-კულტურულ კონტექსტში?**

**პ.გ.** მართალია, მუსიკის სოციალური კონტექსტის ყველაზე მნიშვნელოვანი ასპექტები გვეხმარება სისტემის გაგებაში, თუმცა, ჩვენ არ ჩავუღრმავდით ისტორიას, ვინაიდან ბევრი კვლევაა ჩატარებული და გამოცემული ქართულად და რუსულად. ამიტომ ეს ჩვენს ინტერესებში არ შედის. ჩვენი მიზანია შევადწინოთ სისტემაში, რომელიც უფრო უნივერსალურია და ჩვენ შევძლებთ, გავიგოთ, ქართული მუსიკის ორიგინალურობის ეს მახასიათებელი.

**მ.ხ. თქვენ ბევრს წერთ ქართულ სასულიერო მუსიკაზე. რა კავშირს ხედავთ ქართულ საერო და სასულიერო მუსიკას შორის?**

**პ.გ.** ჩვენ გვაინტერესებს, როგორია თითოეული მათგანი, რადგან ისინი გადაჯაჭვულია და გავლენას ახდენს ერთმანეთზე. როგორც

ჩვენ გვესმის, ეს განპირობებულია ისტორიითა და დემოგრაფიული ცვალებადობით. საქართველო ხომ ევროპული ისტორიის ბევრი ასპექტის გზაჯვარედინია. მუსიკაში არის რაღაც, რასაც ჩვენ ადვილად ვცნობთ. მაგალითად, დასავლური ლიტურგიული მუსიკა ერთი მოსმენითაც იცნობა. ქართული კი ბევრ უპასუხო კითხვას წარმოშობს. ამას ართულებს ისიც, რომ ნოტირებულ კრებულებში არასდროს იცი ზუსტად, თუ სად არის ნამდვილი, ავთენტური, ორიგინალური მუსიკა, რადგანაც ზოგიერთი ნიმუში შესაძლოა არასწორად იყოს გაშიფრული, ზოგიერთი – არანატივებული და ა.შ. ეს მუშაობას ართულებს, მაგრამ ჩვენ ვაპირებთ გამოვიყენოთ ყველა ის მასალა, რომელიც უფრო ერთგვაროვანი ჩანს. შემდგომში, როდესაც საქართველოში ჩამოვალთ არა სიმპოზიუმზე დასასწრებად, გვინდა წავიდეთ, ვთქვათ, სამეგრელოს რომელიმე სოფელში, დავრჩეთ იქ 2 თვე, ვეკონტაქტოთ ადგილობრივ მოსახლეობას და შევეცადოთ, გავიგოთ ყველაფერი ამ რეგიონის შესახებ. რადგან ჩვენ გვაინტერესებს, ვიცოდეთ, ახლა რა ხდება სოფლად. გვაინტერესებს ის ხალხი, რომელიც მღერის და რომელსაც ახსოვს ტრადიცია. ასეთი სამუშაო ჩავატარებთ აფრიკაში და იგივე გეჭირდება საქართველოში.

**მ.ხ. დიდი მადლობა. გელით სიმპოზიუმზე ოქტომბერში.**

**პ.გ.** გმადლობთ თქვენი ყურადღებისა და ჩვენი საქმიანობის მიმართ ინტერესისთვის. მოხარული ვარ ასეთ შესანიშნავ მკვლევრებთან შეხვედრისა და გამოცდილებების გაზიარების გამო.

**ესაუბრა მაკა ხარძიანი**

## მრავალხმიანი სიმღერა ესტონეთში (მოკლე მიმოხილვა)



ძველი ესტონური ხალხური სიმღერები, რომლებსაც მკვლევრები მოიხსენიებენ, როგორც „რეგილაულ“, ძირითადად მონოდიურია, ზოგჯერ შეიცავენ ჰეტროფონიის ელემენტებს. „რეგილაულ“ მიეკუთვნება ე.წ. „რუნულ სიმღერებს“ – ფინელების, კარელიელების, იზორიელებისა და ვოტების უძველეს ბალტიურ-ფინურ ტრადიციას. „რუნული სიმღერების“ (მათ შორის „რეგილაულის“) სტრუქტურას აქვს ბევრი საერთო თვისება: ისინი ემყარება კალევალას მეტრის მქონე ალიტერაციულ კუპლეტს (ტროქაური ტეტრაპეტი), ტექსტი არ ქმნის სტროფებს, სტროფის ერთი მარცვალი ჩვეულებრივ შეესაბამება მელოდიის ერთ ნოტს და სიმღერები სრულდება რესპონსორულად – გუნდი იმეორებს სოლისტის ნამღერ სტრიქონს.

მრავალხმიანი „რეგილაულ“ გვხვდება ესტონეთის ორ რეგიონში: ორხმიანი სიმღერა ბანის თანხლებით – სამხრეთ ესტონეთში და „სეტუს“ მრავალხმიანი ტრადიცია – სამხრეთ აღმოსავლეთ ესტონეთში. ბანის თანხლებით შესრულებული ორხმიანი სიმღერის კარგად ნაცნობი ნიმუშები სათავეს იღებს 1877-1912 წწ-დან. მათ შორისაა გაშიფრული საექსპედიციო მასალა (აკსელ აუგუსტ ბორენიუს-ლაპტეებ-კორვა, აუგუსტ კიისი) და რამდენიმე ფონოჩანაწერი (1912 ვაისანენ). გაშიფრული ცხრამეტივე ნიმუში გამოქვეყნდა 1938 (1988). „სეტუს“ მრავალხმიანი სიმღერის ტრადიცია დღემდე ცოცხალია.

„სეტუს“ (ადგილობრივ დიალექტზე „სეტო“) არის ესტონელების პატარა ეთნიკური ჯგუფი, რომელიც ცხოვრობს რუსეთის მოსაზღვრე ფსკოვის რეგიონის პეჩორის რაიონში. „სეტუს“ ენაზე – ესტონურის ვორუ-სეტუს დიალექტი, რომელზეც დღეს დახლოებით 5000 ადამიანი საუბრობს, მიეკუთვნება ფინურ-უგორული ენის ფინურ ქვეჯგუფს. დანარჩენი ესტონელებისგან განსხვავებით „სეტუს“ ხალხი მართლმადი-

დებლები არიან. „სეტუს“ ხალხის ტრადიციული კულტურა ბევრი სხვა კომპონენტითაც განსხვავდება დანარჩენი ესტონელების კულტურისგან.

„სეტუს“ მრავალხმიანი სიმღერა აშკარად ძალიან ძველი წარმოშობისაა და სიმღერის ყველა ჟანრისათვისაა (შრომის, კალენდარული, საქორწილო, ლირიული, ეპიკური სიმღერები და ა.შ.) დამახასიათებელი. ამ სიმღერებს უმეტესწილად ქალები ასრულებენ.

„სეტუს“ სიმღერების ტესტიურა შედგება ფუნქციონალურად გასხვავებული ნაწილებისგან: ქვედა, მთავარი ხმისგან (ხალხური ტერმინოლოგიით „ტორო“), რომელსაც გუნდი ჰეტეროფონულად ასრულებს და ზედა, მეორეხარისხოვანი ხმისგან („კილო“), რომელსაც ასრულებს სოლო ხმა. „ტორო“ ხმა ჩვეულებრივ გაბმულად და „ლიდერის“ მელოდიასთან მონაცვლეობით მეორდება. „კილოს“ ხმა, რომელსაც აქვს უფრო შემლამაზებლის ფუნქცია, მოძრაობს გამის 2 ან 3 საფეხურით მაღლა.

არსებობს „კილოს“ აგების 3 პრინციპი: 1) სილაბური ბანი ზედა საფეხურზე ფრაზის ბოლოს ტონიკაში გადაწყვეტით (მხოლოდ ერთ-სამ ნახევარტონზე დაფუძნებულ უძველეს სიმღერებში); 2) მელოდიის „ჰარმონიული რითმის“ რეალიზაცია გამის ზედა ორ ან სამ საფეხურზე (როგორც ძველ, ისე ახალ სიმღერებში); 3) ძირითად მელოდიასთან პარალელური ტერციებით მოძრაობა, რაც პერიოდულად თავს იჩენს სტროფის განმავლობაში (უმეტესად ახალ დიატონურ სიმღერებში).

ზოგჯერ „ტოროს“ ერთ-ერთი შემსრულებელი ასრულებს სხვებთან შედარებით დაბალ მელოდიურ ვარიაციებს. ეთნომუსიკოლოგები ამ ხმას უწოდებენ „დაბალ ტოროს“, არ არსებობს ამ ხმის შესაბამისი ფოლკლორული ტერმინი. „დაბალი ტოროს“ დროს „სეტუს“ სიმღერების ტესტიურა აღწევს ფუნქციონალურ სამხმიან შესრულებას, სადაც შუა ხმას მიჰყავს ძირითადი მელოდია.

დღეს მრავალხმიანი სიმღერა არის „სეტუს“ იდენტურობის ერთ-ერთი ყველაზე მნიშვნელოვანი სიმბოლო. ათწლეულების განმავლობაში „სეტუს“ ეთნიკური თვითშეგნების ამადლებამ გამოიწვია ძველი სასიმღერო ტრადიციის აღორძინება. მომღერლების ბევრი კოლექტივი შედგება ახალგაზრდა და ასაკოვანი წევრებისგან, რომლებიც ცდილობენ ცოცხლად შეინარჩუნონ მრავალხმიანი სიმღერის ტრადიცია. თუმცა, უნდა ვაღიაროთ, რომ „სეტუს“ სასიმღერო სტილის უძველესი და ორიგინალური მახასიათებლები/თვისებები მაინც იკარგება. ეს ცვლილებები შეინიშნება როგორც შესრულების დროს, ისე ტრადიციის გადაცემის ხერხებში.

ქანა პარტლასი  
მუსიკისა და თეატრის აკადემია, ტალინი

## ლიტერატურა

**პარტლას, ჟანა. 2000.** “სეტუს” ერთი-სამი ნახევარტონების კილოს ფუნქციონალური ურთიერთკავშირები (მრავალ-არხიანი ჩანაწერების დისტრიბუციული ანლიზის საფუძველზე; (ესტონურად). გამოცემაში *Tõid muusikateooria alalt I*, ed. Mart Humal, Eesti Muusikaakadeemia, Scripta Musicalia, 115 - 140, Tallinn [Summary in English: 204 - 205].

**პარტლას, ჟანა. 2001.** “სეტუს” მრავალხმიანი სიმღერების მელოდიის რითმული ფორმა და კილოური რითმი: (ესტონურად). გამოცემაში *Regilaul – keel, muusika, poeetika*, eds. Tiit Jaago, Mari Sarv, Eesti Kirjandusmuuseum, 117 - 152, Tartu [Summary in English: 369 - 371].

**პარტლას, ჟანა. 2006.** “სეტუს” ხალხური მელოდიების ტიპოლოგიური

საფუძვლები (ინგლისურად). გამოცემაში ინდივიდი და კოლექტივი ტრადიციულ კულტურაში; *Tõid etnomusikoloogia alalt 4*, eds. Triinu Ojamaa, Andreas Kalkun, Eesti Kirjandusmuuseum, 19 - 38 (in English), 29 - 46 (in Estonian), Tartu.

**პარტლას, ჟანა. 2006b.** სიმეტრიული კილოები და მონო-ინტერვალური მრავალხმიანობა ხალხურ მუსიკაში: ზოგიერთი პარალელური “სეტუსა” და სამხრეთ რუსულ ხალხურ სიმღერებს შორის; (ესტონურად).

## ქართული კულტურისა და მეცნიერების კერები

### ივანე ჯავახიშვილის სახელობის ისტორიისა და ეთნოლოგიის ინსტიტუტი

ისტორიისა და ეთნოლოგიის ინსტიტუტი საქართველოში ერთ-ერთი უძველესი სამეცნიერო დაწესებულებაა. მისი ისტორია 1917 წლიდან იწყება, როდესაც ნ. მარის ინიციატივით თბილისში დაარსდა ისტორიულ-არქეოლოგიური ინსტიტუტი. დირექტორი იყო ნ. მარი. ინსტიტუტის თანამშრომლებს შორის იყვნენ: ექვთიმე თაყაიშვილი (ქართველი ისტორიკოსი, თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ერთ-ერთი დამაარსებელი, უდიდესი საზოგადო მოღვაწე) და გიორგი ჩუბინაშვილი (ხელოვნებათმცოდნეობის ფუძემდებელი საქართველოში).

ინსტიტუტს პროფილის ცვლილებებთან ერთად ხშირად ეცვლებოდა სახელი. ნ. მარის გარდაცვალების (1934 წ.) შემდეგ ეწოდებოდა ნ. მარის სახელობის ენის, ისტორიისა და მატერიალური კულტურის ინსტიტუტი (ენიმიკი).

ენიმიკის მუდმივი კონსულტანტი ბრძანდებოდა ივანე ჯავახიშვილი. ინსტიტუტის სამეცნიერო პრობლემატიკა მოიცავდა კავკასიურ თემატიკას. მის სამუშაო გეგმებში შედიოდა ქართველი ხალხის პოლიტიკური და სოციალური ისტორია, კულტურის ძირითადი საკით-

ხები, ეთნოგენეზი და კულტურულ-ისტორიული კავშირი წინა აზიის უძველეს ცივილიზაციებთან. ინსტიტუტი აწყობდა ექსპედიციებს საქართველოს სხვადასხვა რეგიონში, სადაც მოპოვებული მდიდარი საველე ეთნოგრაფიული მასალების საფუძველზე იქმნებოდა მნიშვნელოვანი გამოკვლევები, რომლებიც ქვეყნდებოდა პერიოდულ სამეცნიერო გამოცემებში: „ენიმიკის მოამბე“, „მასალები საქართველოსა და კავკასიის ისტორიისათვის“.

1941 წელს ენიმიკი გაიყო ორ დამოუკიდებელ ინსტიტუტად – ენათმეცნიერებისა და ისტორიის. ამ უკანასკნელს ივანე ჯავახიშვილის გარდაცვალების შემდეგ მისი სახელი მიენიჭა. სხვადასხვა დროს ეს ინსტიტუტი მოიცავდა ისტორიის, არქეოლოგიის, ეთნოგრაფიის, ფილოლოგიის, ფილოსოფიის, ქართული მუსიკალური ფოლკლორისა და ქართული მედიცინის ისტორიის განყოფილებებს. აქ მუშაობდნენ ცნობილი ქართველი მეცნიერები: გ. ჩიტაია, ვ. ბარდაველიძე, ალ. რობაქიძე, რ. ხარაძე, ჯ. რუხაძე, თ. ოჩიაური, მ. აბდუშელიშვილი და სხვები.

1945წ. ისტორიის ინსტიტუტში ჩამოყალიბდა მუსიკალური ფოლკლორის განყოფილება, რომლის ხელმძღვანელად დაინიშნა დიმიტრი არაყიშვილი (1873-1953) – პროფესორი, ხელოვნებათმცოდნეობის დოქტორი, კომპოზიტორი, მუსიკათმცოდნე-ეთნოგრაფი, საქართველოში მუსიკალური ფოლკლორისტიკის ფუძემდებელი. ისტორიის ინსტიტუტში მუსიკალური ფოლკლორის შესწავლას საფუძველი მომზადებული ჰქონდა ივ. ჯავახიშვილის მიერ მისი ნაშრომით „ქართული მუსიკის ისტორიის ძირითადი საკითხები“ (1938). ეს განყოფილება აქტიურად მუშაობდა ქართული ხალხური მუსიკალური შემოქმედების შესწავლაზე (მიუხედავად ომის შემდგომი წლების სირთულეებისა). მის თანამშრომლებად მოწვეულები იყვნენ მუსიკოსი-მეცნიერები თბილისის ვ. სარაჯიშვილის სახელობის სახელმწიფო კონსერვატორიდან: პროფ. გრიგოლ ჩხიკვაძე, შალვა ასლანიშვილი, ბორის გულისაშვილი, ვლადიმერ ახობაძე, თამარ მამალაძე, დაიწყო ასპირანტების მომზადებაც. სწორედ ამ ინსტიტუტში დაიცვა დისერტაცია საქართველოში მუსიკის თეორიის მეცნიერების ფუძემდებელმა შ. ასლანიშვილმა. მზადდებოდა ახალი კადრები ისტორიკოს-ეთნოგრაფებისა, რომელთაც მუსიკალური განათლებაც ჰქონდათ მიღებული.

1960-ანი წლებიდან საფუძველი ჩაეყარა მუსიკალური ფოლკლორის ეთნოგრაფიული მეთოდებით შესწავლას. კერძოდ, გ. ჩიტაიას მიერ შემუშავებული კომპლექსურ-ინტენსიური მეთოდით, მუსიკალური ფოლკლორი განიხილებოდა არა როგორც მხოლოდ მხატვრული მოვლენა, არამედ როგორც ყოფის მოვლენა, როგორც



ტრადიციული – ყოფითი კულტურის შემადგენელი ნაწილი. გარდა ამისა, ყურადღება დაეთმო მუსიკალური აზროვნების განვითარების ადრინდელ საფეხურებს, მუსიკალური ფუძე ენის და მისი დიალექტებად დიფერენციაციის პროცესს (ნ. მაისურაძე), ხალხური საკრავები განხილულ იქნა როგორც ტრადიციული ყოფითი კულტურის ელემენტი, გამოყოფილ იქნა ცალკეულ საკრავთა განვითარების ეტაპები (მ. შილაკაძე).

1994წ. ინსტიტუტში ჩამოყალიბდა საინსტიტუტო საპრობლემო ჯგუფი ნ. მაისურაძის ხელმძღვანელობით. ამ ჯგუფში მომუშავე მეცნიერთა (ქ. ნაკაშიძე, ქ. ჭითანავა, ა. პეტრიაშვილი, ნ. ბედოშვილი, გ. სულაბერიძე). გამოკვლევები მოიცავდა ქართული მუსიკალური ფოლკლორის ცალკეულ სფეროებს (საწესო სიმღერები, მეგრული მუსიკალური დიალექტი, აღმოსავლეთ საქართველოს მთისწინეთის მუსიკალური კულტურა, ინოვაციები ხალხურ მუსიკალურ შემოქმედებაში) და ემყარებოდა საველე მასალას, რომელიც იკრიბებოდა ექსპედიციებისა თუ ინდივიდუალური მივლინებების დროს.

ინსტიტუტის ცხოვრებაში მნიშვნელოვანი მოვლენა იყო საქართველოს ისტორიის ნარკვევების რეატომეულის გამოცემა (1971-1980წწ), საქართველოს ისტორიულ ეთნოგრაფიული ატლასის (მასალები) რამდენიმე ნაკვეთის გამოცემა.

ინსტიტუტში რეგულარულად ტარდებოდა ყოველწლიური სამეცნიერო სესიები და კონფერენციები. ინსტიტუტს ჰქონდა ურთიერთობა საზღვარგარეთის სამეცნიერო ცენტრებთან, არქივებთან და მუზეუმებთან. ქართველოლოგიის სხვადასხვა პრობლემებით დაინტერესებულ მკვლევრებს, მათ შორის ეთნომუსიკოლოგებს (აშშ, ჰოლანდია, იაპონია, ბულგარეთი) კონსულტაციებს უწევდნენ ინსტიტუტის თანამშრომლები.

2006 წლიდან ინსტიტუტს ეწოდება ივ. ჯავახიშვილის ისტორიისა და ეთნოლოგიის ინსტიტუტი. ამჟამად მასში ფუნქციონირებს 5 განყოფილება: 1. საქართველოს ეთნოგრაფიის; 2. კავკასიის ეთნოგრაფიის; 3. ახალი და უახლესი ისტორიის; 4. შუა საუკუნეების საქართველოს ისტორიისა და წყაროთმცოდნეობის; 5. ძველი მსოფლიოს ისტორიის. აღარ არის ბევრი ძველი და ტრადიციული მიმართულება, მათ შორის ეთნომუსიკოლოგია.

ინსტიტუტში არის მუსიკალურ-ეთნოგრაფიული არქივი, სადაც დაცულია მისი ყველა დროის თანამშრომლის ხელნაწერი შრომები (ზოგიერთი მათგანი მოგვიანებით გამოაქვეყნეს ავტორებმა), ფონოგრაფის ლილვაკებზე და მაგნიტოფონის ლენტზე ჩაწერილი ფონომასალა

და ნოტებზე გადატანილი მასალები. ფონოგრაფის ლილვაკებზე ჩაწერილი მასალა ვენის ფონოგრამ-არქივისა და საქართველოს კულტურის, ძეგლთა დაცვისა და სპორტის სამინისტროს მხარდაჭერით 2007 წელს გამოიცა კომპაქტდისკებზე.

არქივში დაცული მუსიკალური მასალა, საველე დღიურები და გამოუქვეყნებელი ხელნაწერი შრომები წარმოადგენს საგანძურს, რომელიც მოვლასა და დაცვას საჭიროებს.

**მანანა შილაკაძე**

### **დამოწმებული წყაროები და ლიტერატურა**

1. ივ. ჯავახიშვილის სახ. ისტორიისა და ეთნოლოგიის ინსტიტუტის მუსიკალური ეთნოგრაფიის არქივი.
2. გ. მელიქიშვილი, ქ. თოფურიძე, თ. მიქელაძე, ვ. ითონიშვილი, თ. ჟორდანიას, ა. ავალიანის, ნ. როდონაიას, ივ. ჯავახიშვილის სახელობის ისტორიის, არქეოლოგიისა და ეთნოგრაფიის ინსტიტუტი, თბილისი: მეცნიერება, 1988.
3. გ. ჩიტაია, დიმიტრი არაყიშვილის ცხოვრება და მოღვაწეობა // შრომები 5 ტომად, V, თბ., 2001, გვ. 19-29.
4. პ. ხუჭუა, დიმიტრი არაყიშვილი, თბ., 1980.
5. ივ. ჯავახიშვილი, ქართული მუსიკის ისტორიის ძირითადი საკითხები, თბ., 1938.

### **ქართული სიმღერის მოამბეები**

## **ლევან აბაშიძე (1957-2009)**

ლევან აბაშიძემ – ქართული ფოკლორის ჭეშმარიტმა გულშემატკივარმა, ფაქტობრივად, მთელი თავისი ცხოვრება ქართლ-კახურ მუსიკალურ ფოლკლორს დაუკავშირა. მან ადრეულ ასაკში მოკიდა ხელი აღმოსავლეთის ბარის სიმღერების მივიწყებული და ნაკლებად ცნობილი ვარიანტების მოძიებას, აღდგენასა და პოპულარიზაციას. სწორედ ამ მიზნით, 1986 წელს სრულიად ახალგაზრდა ლევან აბაშიძემ სოფელ წინანდალში ჩამოაყალიბა ფოლკლორული ანსამბლი „წინანდალი“. ენთუზიაზმზე შექმნილმა ამ პატარა ანსამბლმა ორი ათეული წლის მანძილზე საქართველოში და მის ფარგლებს გარეთ საყოველთაო აღიარება და ხალხის სიყვარული მოიპოვა. ლომის წილი ამ წარმატებაში სწორედ ლევან აბაშიძეს მიუძღვის. ანსამბლმა იმოგზაურა მსოფლიოს მრავალ ქვეყანაში – აზიაში, ევროპასა და ამერიკაში. არ ყოფილა ფესტივალი, სადაც „წინანდალს“ ჯილდო არ მიეღოს, მაგრამ წარმატების პიკი მაინც დიდი ბრიტანეთი იყო: უელსის საერ



თაშორისო ფოლკლორის ფესტივალზე ლევან აბაშიძის ხელმძღვანელობით ანსამბლმა პირველი ადგილი და უმაღლესი ჯილდო დაიმსახურა.

ლევან აბაშიძეს მეგობრობა და შემოქმედებითი ურთიერთობა აკავშირებდა ქართული ფოლკლორის ისეთ გულშემატკივრებთან, როგორებიც იყვნენ: კუკური ჭოხონელიძე, ანზორ ერქომაიშვილი, გომარ სიხარულიძე. სწორედ მათი თხოვნით გადაწყვიტა, შეექმნა ბავშვთა ანსამბლი „პატარა კახი“, რომელიც, შეიძლება ითქვას, იყო მისი მოღვაწეობის გვირგვინი. ანსამბლში მიღების მსურველთა რიცხვი იმდენად დიდი აღმოჩნდა, რომ საჭირო გახდა მისი სამ თაობად გაყოფა. ამგვარად, ლევან აბაშიძემ ქართულ ფოლკლორს ათეულობით ახალგაზრდა აზიარა, რომლებიც, თავის მხრივ ქართული ფოლკლორის კიდევ ბევრ გულშემატკივარს აღზრდიან.

### გურამ ურჩუხიშვილი

#### ხალხური სიმღერა ყოფაში

## ქართული ფერხულები

### (აღმოსავლეთ საქართველო)

მეცნიერებაში ფერხული აღიარებულია განსაკუთრებულ ჟანრად, რომლის ფესვები შორეულ წარსულში იკარგება. როგორც ვარაუდობენ, ფერხული წარმართულ რელიგიურ ქმე-

დებაში უნდა ჩასახულიყო. ფერხული სინკერტული ჟანრია და მასში დაუნაწევრებლად არსებობს ხელოვნების სამი დარგი: მუსიკა, პოეზია და ქორეოგრაფია.

ქართულ მუსიკალურ ფოლკლორისტიკაში ფერხულების შესახებ არაერთი საინტერესო მოსაზრებაა გამოთქმული. ზოგი ვარაუდით, საფერხულო სიმღერების ინტონაციური ფორმულები, მელოდიის ტიპი, შრომის სიმღერებთან და ტირილებთან ერთად, ქართული მუსიკალური ფუძემდებლის საფუძველი უნდა ყოფილიყო.

ჩვენამდე მოღწეული ცნობების მიხედვით, ფერხული მთელ საქართველოში არსებობდა, თუმცა დღეს, საფერხულო შესრულების ტრადიცია ბევრ კუთხეში დაიკარგა. ამ თვალსაზრისით, განსაკუთრებით დასაფასებელია სვანეთი, სადაც დღემდე სიმღერების დიდი ნაწილი სწორედ ფერხულად სრულდება. საპირისპირო სურათია ქართლსა და კახეთში, სადაც, მუსიკალური მონაცემების გათვალისწინებით, უწინ უამრავი სახის საფერხული უნდა არსებულებოდა, თუმცა დღეისათვის მხოლოდ რამდენიმეს საცეკვაო მოძრაობაა ჩაწერილი.

არსებობს როგორც მხოლოდ მამაკაცთა („ღემჩილი“), ისე მხოლოდ ქალთა ფერხულები („იავნანა“). ამასთანავე, საკმაოდ დიდი რაოდენობა ფერხულებისა („ჟუჟუნა“, „დალა კოჯას ხელღვაჟაღე“) შერეულად – ანუ მამაკაცთა და ქალთა მიერ ერთობლივადაც სრულდება.

საფერხულოების დიდი ნაწილი დაკავშირებულია საწესო, საკულტო ქმედებასთან. სწორედ ამ ტიპისაა აღმოსავლეთ საქართველოს მთიანეთში გავრცელებული „ფერხისა“ (ხევსურეთში – „ფერხისული“), რომელიც ხატობის აუცილებელი ნაწილია. „ფერხისა“ სრულდებოდა როგორც ფერხულად, ისე სალოცავის გარშემოვლის დროსა და გზაში – მთის სალოცავიდან ბარის სალოცავისკენ დაშვებისას. ამ საკმაოდ დიდ მანძილზე სვლას თან ახლდა „ფერხისას“ მღერაც. შესაბამისად, მისი ხანგრძლივობა შესაძლოა, საათზე მეტიც ყოფილიყო. „ფერხისას“ ტექსტი ძირითადად მითოლოგიური ან საგმირო შინაარსისაა. ამ სიმღერის ხევისურული, ფშაური და გუდამაყრული ვარიანტები ერთმანეთის მსგავსია. „ფერხისა“ უმეტეს შემთხვევაში ორხმიანია, გარდა მთიულეთისა, სადაც ის სამ ხმად ითქმის. ისევე, როგორც საქართველოში არსებული ყველა საფერხულო, „ფერხისაც“ ორპირულად სრულდება. მეორე გუნდი პირველის სიტყვებს იმეორებს.

აღმოსავლეთ საქართველოს მთის დიდ ნაწილში ქორწილში აუცილებლად სრულდებოდა სიმღერა „ჯვარი წინასა“. ჩვეულებრივ, ამ საფერხულოს პატარძლის ნეფის სახლში მიყვანისა და კერიის გარშემოვლის დროს ასრულებდნენ. არსებობს მისი ქართლური და კახური ვარიანტებიც.



თანდათანობით „ფერხისას“ და „ჯვარი წინასას“ ფეხის მოძრაობა დაეიწყებას მიეცა. ეს ყველაფერი კი სიმღერის მუსიკალურ მხარეზეც აისახა: სიმღერამ დაკარგა საფერხულოებისათვის დამახასიათებელი მკვეთრად აქცენტირებული მეტრ-რიტმი.

თუშეთში ხატობისას აუცილებლად სრულდება სართულებიანი ფერხული „ქორბელელა“. მეცნიერთა ვარაუდით, ეს სიტყვა ორსართულიან სახლს, ორსართულიან ნაგებობას უნდა ნიშნავდეს. ხატობის დროს ორსართულიანი წრე მთის დამრეც ფერდობზე ერთი ადგილიდან მეორემდე დაუშლელად უნდა მისულიყო. ადგილობრივები „ქორბელელას“ მიხედვით მომავალს წინასწარმეტყველებდნენ. ფერხულის დაშლა ცუდის მომასწავებელი იყო, ჯეროვნად შესრულება კი ბარაქიანობასა და გამრავლებას მოასწავებდა.

სართულებიანი ფერხულები საქართველოს სხვა კუთხეებშიც დასტურდება, მაგალითად, სვანური „მირმიქელა“, ქართლური „ზემერელო“, მესხური „სამერელო“. ზემოხსენებულ ფერხულები ქვედა და ზედა რიგის დიალოგზეა აგებული: ძირს მდგომები მათ მხრებზე შემდგართ ჩამოვლებით ემუქრებიან. სიმღერებში არ ერიდებიან უწმაწური სიტყვების გამოყენებასაც. ზოგიერთი მოსაზრებით, ორსართულიანი ფერხული ერთგვარი წვრთნაა საბრძოლო ქმედებისთვის. მეცნიერთა მნიშვნელოვანი ნაწილი კი ამ ფერხულებს ნაყოფიერების კულტს უკავშირებს.

აღმოსავლეთ საქართველოში გავრცელებული საფერხულოების უდიდესი ნაწილი ე. წ. „იაენანას“ მელოდიაზე აიგება. სიმღერებში გამოყენებულია ან მთლიანად „იაენანას“ ჰანგი, ან – მისი გარკვეული ნაწილი. აღმოსავლეთ საქართველოს მთიდან „იაენანას“ ჰანგზე აგებული საფერხული სიმღერა მხოლოდ ხევშია ცნობილი.

ზოგიერთი საფერხული წყობის სიმღერა შრომის პროცესს უკავშირდება. მაგალითად, ასეთებია „ნამგლური“, რომელსაც ნამგლების ლესვის დროს ასრულებენ, და „მუმლი მუხასა“

– რომელიც, მეცნიერთა აზრით, უწინდელი ხის თაყვანისცემის გადმონაშთია.

ყურადღებას იქცევს ქართლელ და კახელ ქალთა საფერხულო წყობის სიმღერები: ამინდის მართვის კახური „გონჯა“ და ქართლური „ლაზარე“; საკულტო „დიდება“ – რომელიც ეკლესიის გარშემოვლის დროს ითქმოდა. ზოგიერთი ცნობის მიხედვით, „დიდებას“ ერთმანეთის მონაცვლეობით ასრულებდნენ ქალთა და მამაკაცთა გუნდები. საყურადღებოა, რომ აღმოსავლეთ საქართველოს მთიანეთის მამაკაცთა „ფერხისები“ და კახელ ქალთა „დიდებები“ ერთ საკომპოზიციო სქემაზე აიგება.

## ოთარ კაპანაძე

### ერთი სიმღერის ისტორია

## „დალა კოჯას ხელღვაჟალე“

სიმღერა „დალა კოჯას ხელღვაჟალე“ სვანური სამონადირეო სიმღერების რიცხვს განეკუთვნება. ქართულად მისი სათაური ასე ითარგმნება: „დალი კლდეში მშობიარობს“. დალი ქართული წარმართული პანეონის ერთ-ერთი ღვთაებაა, რომელიც სვანურ მითოლოგიაში კლდის ნადირის მფარველად ითვლება. ამიტომ სვანი მონადირეები ნადირობისას შემწეობას სწორედ მას შესთხოვენ.

სიმღერაში „დალა კოჯას ხელღვაჟალე“ გადმოცემულია დალის კლდეში მშობიარობის ამბავი. როგორც ცნობილია, დალი ქართული ხალხური ეპოსის ერთ-ერთი ყველაზე ცნობილი გმირის – ამირანის დედაა. შესაბამისად, „დალა კოჯას ხელღვაჟალე“ ამირანის დაბადების ეპიზოდია. ახლადგაჩენილი ყრმა დედას კლდიდან უვარდება, მას მგელი იტაცებს, რომელსაც შემთხვევით იქ მოხვედრილი მონადირე კლავს და დალის ჩვილს უბრუნებს, საფასურად კი ქალღმერთისაგან წარმატებული ნადირობის პირობას იღებს.

მკვლევრები „დალა კოჯას ხელღვაჟალეს“ უძველესი სახალხო დრამის ნაწილად მიიჩნევენ, რომელიც, შესაძლოა, ოდესღაც ამირანის ეპოსის ნაწილი ყოფილიყო. ერთი სვანი მონადირის გადმოცემით, „დალის შვილის გაჩენა „ხოშა ღერბეთმა“ (დიდმა ღმერთმა) აუკრძალა“. როგორც ჩანს, იმის გამო, რომ მან უწყოდა, დალი ღმერთთან მეზობლად ამირანს შობდა. ალბათ ამიტომ უჭირს დალის მშობიარობა, ამიტომ დარაჯობენ მის ყრმას ზემოდან ყვევ-ყორნები და ქვემოდან – მგელი.

დალი მაცდური არსებაა, რომელიც მომხიბლავ მონადირეებს სასიყვარულო სარეცელს სთავაზობს და სანაცვლოდ წარმატებულ ნადირობას კპირდება, მხოლოდ ერთი პირობით: მონადირემ ეს კავშირი საიდუმლოდ უნდა შეინახოს და დალის არავისთან უღალატოს. წინააღმდეგ შემთხვევაში, მონადირეს დაღუპვა ელის. თუმცა სიმღერაში „დალა კოჯას ხელღვაჟაღე“ ეს მოტივი არ ჩანს. მასში ღვთაების ადამიანებისადმი კეთილგანწყობაა ასახული.

„დალა კოჯას ხელღვაჟაღე“ სვანურ მუსიკალურ ფოლკლორში ერთ-ერთი ყველაზე გავრცელებული სიმღერაა. ცნობილია მისი უამრავი ვარიანტი: როგორც სამხმინი, ისე სოლო, საკრავის თანხლებით და მის გარეშე, როგორც ქალთა, ისე მამაკაცთა შესრულებით.

**მაკა ხარძიანი**

# დალა კოჯას ხელღვაჟალე

♩ = 61

ჭუნირი

ჩანგი

I გუნდი

საა ვო და რი - რო - რა - შა რე - რო - შა რა - შა

საა ვო დი რი - რო - რა - შა რე - რო - შა რა - შა

საა ვოა რი - რო - რა - შა რე - რო - შა რა - შა

და - ლე კო - ჯა - ს ხელ - ღვა - ჟა - ლე რე - რო - შა რა - შა

და - ლე კო - ჯა - ს ხელ - ღვა - ჟა - ლე რე - რო - შა რა - შა

და - ლე კო - ჯას ხელ - ღვა - ჟა - ლე რე - რო - შა რა - შა

II გუნდი

სადა - ვო - დი რი - რო - რა - შა რე - რო - შა რა - შა  
სადა ვოდი რი - რო - რა - შა რე - რო - შა რა - შა  
სადა ვოდი რი - რო - რა - შა რე - რო - შა რა - შა

და - ლე კო - ჯას ხელ - ღვა - ჟა - ლე რე - რო - შა რა - შა სადა  
და - ლე კო - ჯას ხელ - ღვა - ჟა - ლე რე - რო - შა რა - შა სადა  
და - ლე კო - ჯას ხელ - ღვა - ჟა - ლე რე - რო - შა რა - შა სადა

Piano accompaniment for the final section of the piece, consisting of two staves with chords and melodic lines.

I გუნდი

საღ ვო და რი - რო - რა - შა რე - რო - შა რა - შა

საღ ვო და რი - რო - რა - შა რე - რო - შა რა - შა

საღ ვო რი - რო - რა - შა რე - რო - შა რა - შა

და - ლე კო - ჯა - ს ხელ - ღვა - ჟა - ლე რე - რო - შა რა - შა საღ

და - ლე კო - ჯა - ს ხელ - ღვა - ჟა - ლე რე - რო - შა რა - შა საღ

და - ლე კო - ჟას ხელ - ღვა - ჟა - ლე რე - რო - შა რა - შა საღ

საღ ვო და რირორაშა რეროშა რაშა  
ხელღვაჟალე თეთნამ კოჯას რეროშა რაშა საღ